წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. კვირა, 17 აპრილი 1916 წ. № 85

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივ ... პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელ ... 10 კ. ... გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

მოდური მაღაზია
მ. ბაშარულისა
სასახლის ქუჩაზე
იმოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი
მხოლოდ ევროპიული
(—83—6)

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
**ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსი**ტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
**ტელეფონი, 17—21.**

კვირას, 17 აპრილს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ
ალექსანდრა კოსტანტინეს ასულის
კვირიკაშვილის
სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობართ განსვენებულის გულდამწვარი **მეუღლე პეტრე პავლეს ძე, დედამთილი სალომე დავითის ასული და მაზლი ვასილ პავლეს ძე კვირიკაშვილები.** პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე.
(2-86-2)

**მამა მათე, დედა ეკატერინე, დები ეფემია და ბაბულია, სიძე ნიკო იმნაძე** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 20 მარტს ბრძოლის ველზე გმირულად დაიღუპა პირველთა ერთად-ერთი ვაჟი, მეორეთა ძმა და მესამის ცოლის ძმა
ამბროსი მათეს ძე
ალნიაშვილი
ცხედრის დაკრძალვა დანიშნულია 19 აპრილს დღის 12 საათზე **სოფ. შილდაში.** (1—155—1)

**პართენ ალექსანდრეს ძე გოთუა** გულითადის მწუხარეებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 15 აპრილს ყარსის საავადმყოფოში გარდაიცვალა მისი ღვიძლი ძმა
გიორგი (ტიტო) ალექსანდრესძე
გ ო თ უ ა
საერობო და ქალაქთა კავშირების პირველ საინჟინრო-აშენებელ რაზმის თანამშრომელი.
ყარსიდან გამოსვენება მოხდება 17 აპრ. ლანჩხუთის სადგურისაკენ (ოზურგეთის მაზრა). დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 19 აპრილს სოფ. **ძიმარში,** საგვარეულო სასაფლაოზე, წმ. გიორგის ეკლესიასთან.
(1—154—1)

სახალხო სახლი (კ. ზუბალაშვილის სახელობისა)
**ორშაბათს,** 18 აპრილს 1916 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **ვ. შექსპირის** ცნობილი ტრაღედია
მ ე ფ ე ლ ი რ ი
5 მოქ. და 9 სურათად, თარგ. ი. მაჩაბელისა და ი. ჭავჭავაძისა.
**მონაწილეობას მიიღებენ:** ბეჟანიშვილი ს., ქიქოძე ანეტა, დავითაშვილი ნ., აბაშიძე ვასო, გუნია ვალერიან, თარალაშვილი ი., ზარდალიშვილი ი., იმხნელი გ., ვარგარიძე გ., იმედაშვილი, კორიშელი პ., გვარაძე ნ. მამფორია ილ., სარაული კ. და სხ.
**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.
**ადგილების ფასი 15 კ.-დან 1 მან. 50 კ.-დე".**
შემდეგი წარმოდგენა: **ჰამლეტი.** (3-85-1)

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**იყიდება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**
**ჩულქეულობა, კოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**
(101—წ.)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
**ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასში**
საკუთარი ტყიდან
**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

სკოლა ტყეში
3750 ფუტია ზღვის დონაზე
**საზაფხულო ახალშენი ჯანით სუსტი ბავშვებისათვის წაღვერის ტყეში.**
წელიწადი მესამე
ზ. გ. არჯევანიძისა
სეზონი გაიხსნება 20 მაისს
ბავშვების ჩაწერვა საჭიროა 1 მაისამდე. **თბილისი:** მალაკნების ქუჩა, № 27, დღის 1—3 საათამდე.
(2-150-2)

ახალი კლუბი
**ერთი კვირის პროგრამა 18—24 აპრილამდის.**
**ორშაბათი**—სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი.
**სამშაბათი**—ლექცია-კონცერტი კ. ფოცხვერაშვილისა ქართულ ენაზე. კონცერტი უფასოა.
**ოთხშაბათი**—სინემატოგრაფი და სიმებიანი ორკესტრი.
**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა. სამხედრო მუსიკა.
**პარასკევი**—სინემატოგრაფი და სიმებიანი ორკესტრი.
**შაბათი**—ოპერეტკა რუსულ ენაზე.
**კვირა**—სინემატოგრაფი.
დასაწყისი: კონცერტებისა და ოპერეტკისა $8^1/_2$ სათ.
წარმოდგენებისა — — 8 საათ.
სინემატოგრაფებისა — 8 საათ.
კლუბში შესასვლელი ფასი ჩვეულებრივია; მხოლოდ, სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები ფორმაში—65 კაპ., მამაკაცები 1 მან. 5 კაპ. (1—86—1)

ნაფიცი ვექილის თანაშემწე
გიორგი თევდ.-ძე ყორდანია,
რომელსაც დავალებული აქვს განსვენებულის კერძო ვექილის
ილია ივანეს ძის ნატროშვილის
საქმეების მოწესრიგება, უმორჩილესადა სთხოვს განსვენებულის კლიენტებს, ვისაც ჯერ არ მოუკითხავთ თავისი საქმეები, დროზე მოიკითხონ. ნახვა შეიძლება ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, საღამოს $5^1/_2$—7 საათამდე. სასამართლოს ქუჩა, № 26, ტელეფონი № 17—00. (3—87—1)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**
(102—წ.)

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
**იყიდება საუკეთესო კახური ღვინოები**
(112—წ.)

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 15 აპრ. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი.** ს. გინოვკის მიდამოებში (დვინსკიდან დასავლეთით) ჩვენ კიდევ წინ წავიწიეთ. დრისვიატის ტბის ჩრდილოეთით ჩვენმა არტილერიამ მტრის ჰაეროპლანი ჩამოაგდო მათსავე თხრილებში. სოფ. ოსტროვკას მიდამოებში მტრის მფრინავებმა 30 ყუმბარა ჩამოაგდეს, რამაც რამდენიმე ავსტრიელი ტყვე მოჰკლა. მდ. სტრიპას მიდამოებში ტარნოპოლის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარი შეუმჩნევლად მიუახლოვდა ავსტრიელებს, რომლებიც ბოგატკოცეს აღმოსავლეთით სიმაგრეებზე მუშაობდნენ. შეცვივდნენ მათს თხრილებში და, ხელჩართული ბრძოლის შემდეგ, ნაწილი ამოხოცეს, მხოლოდ 1 აფიცერი და 62 ჯარისკაცი ტყვედ წამოვიყვანეთ. მტრის სიმაგრეები დაშალა ჩვენმა ჯარმა და უკანვე დაბრუნდა. დილის 5 საათზე ამ ადგილას მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ კონტრ-იერიშით უკუვაგდეთ, აქ 6 საღი და 20 დაჭრილი ავსტრიელი წამოვიყვანეთ. სულ აქ წამოვიყვანეთ 10 აფიცერი და 96 ჯარისკაცი. გარდა ამისა მტრის 111 თოფი, 2 ყუთი ყუმბარა და სხვა მასალა დავლად წამოვიღეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** აზრუმის მიდამოებში, სამხრეთ - დასავლეთით, ოსმალები უკან დავწიეთ. ბითლისის მიდამოებში, სამხრეთით, ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია.

— —

**პარიზი,** ოფიციალი, დღის ცნობა. ვერდენის მიდამოებში, სახელდობრ ავეკურის სიმაგრესთან და პჟაურის სიმაღლეებში, საშინელი სროლაა ზარბაზნებისა.

ჩვენმა ცეცხლმა შეაჩერა მტრის შეტაკებანი ვოს ჩრდილოეთით. ლორენში გავფანტეთ მზვერავთა რაზმი, რომელიც ცდილობდა ლემენილის აღმოსავლეთით სანგრების დაზვერვას. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში ღირსშესანიშნავი არა მომხდარა რა.

**პარიზი,** საღამოს ოფიციალი ცნობა. 14 აპრილს მდ. მაასის მარცხენა ნაპირას ავოკურ-ენის-კიუმერის მიდამოებში არტილერიამ დიდი საქმე შეასრულა.

მაასის მარჯვენა ნაპირებზე ოდრემონ-ტომონის და დამინ-ვოს შუა ასპარეზზე, მტერმა გაგვიმართა მცირე შეტაკებანი საშინელი არტილერიის ცეცხლით. მტერი მოვიგერიეთ და ცეცხლიც შევაჩერეთ. ასპარეზის დანარჩენ ხაზზე შედარებითი სიწყნარეა რუას მიდამოების გარდა, საითაც მოქმედება გავაძლიერეთ. გუშინ ვოსთან ერთი მფრინავი ჩამოაგდეს.

14 აპრილს საღამოთი, ჩვენი სამი მფრინავი უშენდა არნაკილდის გზის სარკინისგზო სადგურს. იმ ღამესვე მფრინავებმა ორნის ველების ბანაკზე ჩამოჰყარეს 37—120 მილიმეტრიანი, ყუმბარა 6—120 მილიმეტრიანი და ორი ცეცხლის გამჩენი ყუმბარა ბიონვილის ვოგზალზედ და 8—120 მილიმეტრიანი კონფლანის სადგურზე.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ოსმალეთის ასპარეზი**

უმთავრეს მთავარ-სარდლის უკანასკნელ ცნობით ოსმალები ერზინჯანის მიმართულებით წინ მოიწევენ. ამის შესახებ სამხედრო პირები აღნიშნავენ: ერზინჯანის მიმართულებას ოსმალთათვის ეხლანდელ პირობებში პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ეს გზა ანგორაზე სტამბოლისაკენ მიდის. ცხადია აქ ოსმალთ დიდძალი ჯარი ეყოლებათ, ზედმიწევნით 100.000 მაინც. აქ არის სირიის კორპუსი, რომელიც ეგიპეტისაკენ იყო გამზადებული, ბაღდადის კორპუსი და სტამბოლიდან მოყვანილი ჯარი. შესაძლებელია აქ სხვა ჯარიც იყოს. მათ სამოქმედო ასპარეზად ასახელებენ მამახათუნ-ერზინჯინის მიდამოებს. რადგანაც შესაძლოდ სთვლიან ინგლისის და რუსების ჯარის შეერთებას მესოპოტამიაში, სამხედრო პირები საჭიროდ სთვლიან ამ ადგილებში მოქმედების გაგრძელებას. რუსები ფეხს იკიდებენ ქერმანშახ, ისფაჰან და ბითლისის მიდამოებში და მოქმედების გასაგრძელებლად ემზადებიან. როგორც მოსული ცნობებიდან სჩანს გენ. ლეკის რაზმი, რომელიც გამზადებულია ოსმალთა მხრივ გარშემორტყმულ გენ. ტაუნსენდის რაზმის გასანთავისუფლებლად, კუტ-ელ-ამარაში, თუმცა ნელის ნაბიჯით, მაგრამ მაინც წინ მიიწევს. გარშემორტყმულ ინგლისელთა ჯარის მდგომარეობა არ არის გასაჭირი, სურსათი და იარაღი საკმაო აქვთ. ამ ადგილებში მოქმედება მხოლოდ მაისის შუა რიცხვებამდე შეიძლება, რადგანაც აქ მაშინ აუტანელი სიცხეები დაიწყება და ბრძოლის გაგრძელება შეუძლებელი იქნება. (კავკ.)

**ბულგარეთი**

ათინიდან მოსული ცნობით, ბულგარელების ძლიერმა ჯარმა ნეიტრალი ხაზი გაარღვია და საბერძნეთის მიწა-წყალზე შეიჭრა და ბერძნების მზვერავთ შეებრძოლა. ბულგარელები იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ. ბერძნებმა შვიდი კაცი დაჰკარგეს. ბულგარელების დანაკლისი გამოურკვეველია.

**საზღვარის გაფართოვება**

სალონიკიდან იტყობინებიან: 29 საბერძნეთის სასაზღვრო ადგილები ბელეს მთის მიდამოებში, დოირადის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, უკან დასწიეს, რათა სანეიტრალო ხაზი გაფართოვდეს. როგორც სჩანს ამ ადგილებში ბერძნების სოფლებს ბულგარელები ესტუმრებიან.

**ფრანგთა მფრინავები ბალკანეთზე.**

ათინიდან იუწყებიან: ფრანგთა მფრინავები პეტრიჩის მიდამოებში თავს დაესხნენ ბულგარელთა ჯარს. 11 მფრინავი დაჰფრენდა ბულგარელების ბრძოლის ხაზს ბრანის, როიკოვცევის, ლიეონინოვის და პეტრიჩის მიდამოებში, მფრინავები უვნებლად დაბრუნდნენ. ბულგარელებს დიდი ზიანი მიაყენეს.

**გერმანეთი და შეერთებული შტატები**

ბერლინიდან იტყობინებიან: შეერთებულ შტატების ელჩმა, ბერლინში უკვე ჩააბარა უცხოეთის საქმეთა საიმპერიო სტატ-სეკრეტარს შეერთებულ შტატების საპასუხო ნოტა, შესახებ წყალქვეშა ნავებით სარგებლობისა სამხედრო მოქმედებაში.

**ნოტა შეერთებულ შტატებისა**

როგორც კოპენჰაგენში ატყობინებენ, შეერთებულ შტატების ელჩმა ჯერარმა, ფონ-იაგოვს ჩააბარა ნოტა. იმავე დღეს ბეტმან-ჰოლვეგი, საჩქაროდ მოვიდა ბანაკიდან ბერლინს. მაშინვე მოიწვია მინისტრთა საბჭო და შემდეგ ფონ-იაგოვასთან ერთად, საზღვაო და სამხედრო მინისტრებით დაბრუნდა ბანაკში, სადაც მოხდა ახალი თათბირი კაიზერის მონაწილეობით. როგორც სჩანს, უცხო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ვილსონის ნოტის ცნობებიდან, მდგომარეობა მეტის მეტად სერიოზულია, რასაც აღარც ადგილობრივი გაზეთები ჰმალავენ. გერმანეთის პასუხს დღედღეზე მოელიან.

## ბრძოლის ველზე

**კავკასიის ასპარეზი.**

დღევანდელ მიმოხილვისთვის იმის მეტი არა დაგვრჩენია რა, რომ აღვიაროთ სრული დადასტურება ჩვენი შეხედულობისა, რაც გამოვიტანეთ ტრაპიზონის დაცემის შესახებ. რუსთა მხედრობამ, როგორც ვიცით, 5 აპრ. ბრძოლით ტიაპიზონის აღებით დააგვირგვინა თავისი სამხედრო მოქმედება. ვიდრე სავსებით გამოირკვეოდა მდგომარეობის ვითარება, შტაბის ცნობების მოლოდინში, მიმომხილველნი მხოლოდ გარეგნულ ეფექტით კმაყოფილდებოდნენ. თავისთავად, რა თქმა უნდა, ტრაპიზონის აღებამ, სხვა რომ არა ვთქვათ რა, რუსეთის ფლოტს საუკეთესო ბაზა მოუპოვა, საიდანაც გაცილებით სწრაფად შეეძლებათ სურსათის მიწოდება. მაგრამ... ის იმ შემთხვევაში იქნებოდა კარგი, თუ კი რუსის მხედრობას მოეხერხებინა ბაიბურთით წამოსულ ოსმალთა ჯარების გარღვევა და ზღვის სანაპიროებით წამოსულ მხედრობასთან შეერთება. ტრაპიზონის დაცემას, სხვათა შორის, ერთი minus-ი კიდევ იმით მიემატა, რომ აქ მხოლოდ საარიერგარდო ჯართან ჰქონდათ საქმე, ცოცხალს ძალას კი მოუხერხებია გასვლა და სამხედრო სურსათის გატანა.

მთავარი შტაბისთვის შესაძლებელია ეს სიურპრიზიც იყო, ვინაიდან ტრაპიზონის დათმობას ასე ადვილად ვერას დროს ვერ წარმოიდგენდა, ყოველ შემთხვევაში ოცი თებერვლიდან მაინც, რაც „ბრესლაუმ“ გამოითარეშა და წყალქვეშა ნავებმა დაჰლუპეს „პორტიუგალი“. ამიტომ მთავარი ყურადღება მიაქცია ოსმალთა ჯარების დევნას, თუ რა მიმართულებით მოუხდებოდათ ბრძოლა. აგერ მას აქეთ ამ საიდუმლოსაც ფარდა აეხადა და, როგორც ყოველდღიურ მთავარი შტაბის მოკლე ცნობებიდანა ვხედავთ, ამ ძალებს უმთავრესად ზემო ჭოროხის რაიონში დაუხევიათ და შეერთებულან სიკაანგორით და ერზინჯანის მიმართულებით წამოსულს რეგულიარ ჯარებთან. აი, ეს შეერთებული ძალები გამუდმებით მოიწევენ რუსთა ცენტრისკენ, უმთავრესად ბაიბურთ-აშკალისაკენ... ამდენი ხნის განმავლობაში მხოლოდ ამ ორს პუნქტს ახსენებს მთავარი შტაბი. როგორც სჩანს, ოსმალთ ძლიერი ძალები ჰყოლიათ და რეგულიარი ჯარებიც, რის გამოც რუსთა მხედრობას ველარ უხდებათ ჩვეულებრივ ელვისებური სისწრაფით მათი ბრძოლის პირის გარღვევა.

კავკასიის მეორე მხარეს, სახელდობრ ბითლისისა და დიარბექირის მიმართულებით შედარებით მეორე, თუ გნებავთ მესამე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან საქმე ყოველთვის ცენტრია, თუ ეს მტკიცედ იქნება, მაშინ ფრთების მდგომარეობა ყოველთვის უზრუნველყოფილი იქნება. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ მდგომარეობა კავკასიის ასპარეზით მეტად მწვავდება, ამას ამბობენ არა თუ რუსის სამხედრო მიმოხილველნი, არამედ ნეიტრალი და თვით ინგლისური პრესაც. „ტაიმსი“ რომ არა ვთქვათ, საკმარისია გავიხსენოთ ფრანგული და შვეიცარული ჟურნალ-გაზეთობა, სადაც ერთხმად დასძენენ, ოსმალთ კავკასიის ასპარეზზე კარგა ძალები მიაშველეს საუკეთესო იარაღითაო. ამ ჯარებში, სხვათა შორის, ასახელებენ გალიპოლის დამცველებსაც. ამ ოპერაციის ხელმძღვანელად ასახელებენ ლიმან ფონ სანდერსს.

**მდგომარეობა სპარსეთში.**

დიდი ხანია სახელოვან ბარათოვის ლაშქრობის შესახებ აღარა ისმის რა, რომ მისი მხედრობა ეფრატისკენ მოისწრაფის ინგლისელთა გამოსახსნელად, ეს ვიცით, მაგრამ სახელდობრ რა ადგილას არიან, ან წინ რა დაბრკოლება ელობებათ გადასალახავად, ეს კი აღარ ვიცით და დეპეშათა სააგენტოც, სამწუხაროდ, სდუმს მის შესახებ.

საგანგებო მდგომარეობაში არიან თვით ინგლისელები. ინგლისელები სამართლიანად შფოთავენ ამ შემწყვდეულ ჯარის შესახებ. აი, ამ ახლო წარსულშიც ლორდმა ბერსფოლდმა შეკითხვა შეიტანა პარლამენტში კუტ-ელ-ამართან (მესოპოტამიაში) მომწყვდეულ მათი ჯარების მდგომარეობის შესახებ. ამის შესახებ სერ-ჯონ ნიკრონმა მთელი მოხსენება წაიკითხა, სადაც გადაჭრით ამბობს, ინგლისის მხედრობას ახლა არ შეუძლიან ბაღდადისაკენ გალაშქრება, ამისთვის საკმაო ძალები არ მოგვეპოვებაო. მისი აზრით ყველა ეს შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ გენერალ ბარათოვის ჯარები მოახერხებენ ჩვენთან შეერთებასაო.

ისტორია აქ შემწყვდეული ჯარებისა ასეთია: 3 ნოემბერს 1914 წელს შატ-ელ-არაბესთან ინგლისელებმა გადმოსხეს თავიანთი ჯარები. 23 ნოემბერს ამავე წელს აიღეს ბასრა; 29 ენკ. 1915 წ. ოსმალებმა დასცალეს კუტ-ელ-ამარა. 22 ნოემბერს მოხდა დიდი ბრძოლა კტესფონთან; 24 ნოემბერიდან იწყება ბედის ჩარხის შეტრიალება. ოსმალთ მაშველი ჯარები მოსდით, ინგლისელები იხევენ, 8 ქრისტეშობისთვეს ოსმალნი კვლავ დაიბრუნებენ კუტ-ელ-ამარს. ინგლისელები მეტად კრიტიკულს მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. მას აქეთ ბრძოლამ პოზიციური ხასიათი მიიღო. ინგლისელებმა ბევრი გაჭირვება დაითმინეს. სურსათის ნაკლულევანობას ერთობოდა ნიაღვრებისა და უამინდობის ქარცეცხლი. ხშირად ჯარიც და ცხენებიც 40 საათობით მშივრები რჩებოდნენო, ასე ასწერს სერ ჯონ ნივსონი ამ ჯარის უმწეო მდგომარეობას.

**ვერდენის გარშემო.**

ვერდენის ოპერაცია მეტად მძიმე პერიოდში გადადის. გერმანელები აგერ ისევ მორტჰომ-კიუმიერის ხაზს მისჩერებიან და მისი გარღვევით ლამობენ საბედისწერო იერიშების მიტანას.

X

## აჯანყება ირლანდიაში

(პეტრ. სააგ. დეპ.)

**ლონდონი,** 14 აპრ. სათემო პალატა. ასკვიტმა შეკითხვაზე განაცხადა: ირლანდიაში მდგომარეობა გართულდა. დუბლინში ირლანდიელებმა რამდენიმე დიდი შენობა ხელთ იგდეს. ქუჩებში იარაღით შეტაკება გრძელდება. მღელვარება ირლანდიის სხვა და სხვა ადგილებსაც ედება, განსაკუთრებით კუნძულის დასავლეთ მხარეს. მთავრობა დარწმუნებულია, ამბოხეთ გაუმკლავდება, რის გამოც ირლანდიაში საალყო წესები გამოაცხადა. გენ. მასილი ლონდონიდან დღეს გავიდა და დიდის უფლებით აღჭურვეს. კარსონმა განაცხადა, კმაყოფილი ვარ იმ ღონისძიებათა მიღებით, რომელიც მთავრობამ ირლანდიელთა საწინააღმდეგოდ მიიღოვო.

**ლონდონი,** 14 აპრილი. ასკვიტმა, სხვათა შორის, განაცხადა: ირლანდიაში საჭიროა გამოცხადებულ იქმნას სამხედრო ცენზურა, საალყო წესის შემოღებისა გამო. მთავრობის მოვალეობაა ჩააქროს ირლანდიელთა აჯანყება, რაც შეიძლება მალე. მთავრობამ უნდა გამოიკვლიოს მიზეზი ამბოხებისა.

რედმონდმა ირლანდიელთა ნაციონალურ პარტიის სახელით განაცხადა: ირლანდიის ხალხი დღევანდელ ამბოხებას ზიზღს უცხადებს. ასკვიტმა ბოლოს განაცხადა: უხერხულად მიმაჩნია გავამართლო, სხვა ადგილები, სადაც მოელდო ამბოხება, თუმცა მთავრობამ ყველგან ზომები იხმარა მღელვარების ჩასაქრობად.

ირლანდიის ამბოხების შესახებ ლონდონის გაზეთები სწერენ: ირლანდიელთა ამბოხება გერმანელების საქმეა, რომელსაც დიდი შედეგი არ მოჰყოლია.

**ტფილისი, 17 აპრილი.**

**ჩვენი ეკლესიისთვის.** წარმოუდგენელს ეროვნულს დაქსაქსულობას განვიცდით. ჩვენი ეროვნული ცხოვრების ვერც ერთი მორიგი საკითხი ვერ იკრებს თავის გარშემო ჩვენი საზოგადოების ფართე წრეებს. ისეთს, ჩვენი აწმყოს და მომავლისთვის უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენასაც კი, როგორიცაა ქართული ეკლესიის გარშემო ატეხილი ხმაურობა, ჩვენში შესაფერი მოქმედება და ყურადღებაც კი ვერ გამოუწვევია.

ჩვენი ეროვნული სინიდისის ძალდატანებას, წამებულის გვირგვინით შემოსილ ეკლესიის გარეშე უხეში ძალით დაუძლურება, დასუსტება უცხოთა გულისწყრომას იწვევს და ჩვენ კი თითქოს არაფერი მომხდარიყოს და არც რამე იყოს მოსალოდნელი, ერთს ვიტყვით, ისიც ბუნდოვანად, გაუბედავად და მით გავათავებთ. იქ, სადაც მთელი ერი უნდა მეტყველებდეს გაბედულად, შეუპოვრად, აქა-იქ კანტიკუნტად თუ გაისმის ხმა გულწრფელი და გაბედული.

არ შეიძლება ერი გულგრილი მაცქერალი იყოს თავის მრავალტანჯულ ეკლესიის ბედისადმი. ეს არსად არ მომხდარა, არ გაგონილა. მხოლოდ ეროვნული უძლურებით, ქართველის გულისა და სულის დაკნინებით თუ აიხსნება ის მოვლენა, რომ ეკლესიის დანაწილება, დაქუცმაცება უფლების აყრა, მაშში ვერ იწვევს ვერც შესაფერს საქმეს, ვერც სიტყვას. ჩვენს ეკლესიიდან სოხუმის ეპარქიის ჩამოშორების საკითხი სამარცხვინო ფურცლად ჩაეკვრება ჩვენს სახელოვან მატიანეში. ასეთს დროს, როდესაც მთელი მსოფლიო ეროვნულ უფლების დროშის ქვეშ სისხლს ღვრის, ქართველ საზოგადოებას ვერ გაუბედია ხმის ამაღლება თავისი წმინდათა წმინდის საქომაგოდ, დასაცავად. სად არის ნეტავ ჩვენი მოწინავე წოდება თავის წარმომადგენლობით? ნუ თუ მათ იმ წმინდა განძეულობის დასაცავად, რომლისთვისაც მათს წინაპართ მრავალჯერ თავიც კი გაუწირავთ, ხმის ამოღებაც კი არ ეხერხებათ. სად არის ჩვენი საზოგადოების სხვა წრეები—მოქალაქენი, გლეხობა, რომელნიც ამ უკანასკნელ ხალხში ხშირად გამოხმაურებიან სადღაც სამყაროს მეორე კუთხეში მომხდარ უსამართლობას, ბოროტებას და ამის გამო პროტესტებიც კი გაუგზავნიათ. სად არის პრესა, ეს სარკე ჩვენი ცხოვრებისა. რატომ არ აღბეჭდავენ ერის გულზე დაჩნეულ ტკივილებს. უპირველეს ყოვლისა რად სდუმს ის წოდება, რომელიც მსახურებს ოდესღაც ბრწყინვალე, დღეს კი ნანგრევებად ქცეულ ივერიის წმინდა ეკლესიას. სად არის სამღვდელოება? უმაღლესი სასულიერო მთავრობის წინაშე შუამდგომლობანი მათნი. ნუ თუ მხოლოდ მათ ქონებრივ მდგომარეობას უნდა შეეხებოდეს დღეს, როდესაც საქართველოს ეკლესიის წმინდა სხეულს, ცოცხალი ნაწილის ჩამოკვეთას უპირებენ. ვერც ერთი წოდება, ვერც ერთი ჯგუფი ჩვენი ერისა ვერ იპოვის გასამართლებელ საბუთს, რომ უანდერძოს მომავალ შთამომავლობას იმ სირცხვილთან ერთად, რომელსაც განიცდის ივერიის ეკლესია.

## დიდი საქმე

**მეურნეთა ყრილობას,** რომლის მოწვევას შუამდგომლობენ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხიდან, დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა ჩვენს ეკონომიურს ცხოვრებაში. ამ უმაგალითო ომის დროს, თითქმის ყველაფერი შეიცვალა და ამ მოვლენამ მეურნეობასაც, რასაკვირველია, თავისი დაღი დაასვა. ჩვენი ქვეყნის მეურნეობის თითქმის ყოველ დარგს—მევენახეობას, მებოსტნეობას, მეჯოგეობას, თუ მეაბრეშუმეობას სამოქმედო პირობები მეტად გამოუცვალათ და ასეთს ცვალებადობის და ხიფათის ხანაში მეურნეთა ფართო წრეების შეკრება, საერთოდ სამეურნეო საკითხების გათვალისწინება და სამოქმედო გეგმის გაკვლევა დიდათ სასარგებლო და ნაყოფიერი საქმე იქმნებოდა.

ასეთივე განუზომელი მნიშვნელობა ექმნება ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისთვის მეორე ყრილობას, რომელიც მაისში უნდა მოხდეს. ეს გახლავთ **კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის აქციონერთა კრება.** თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენი ალებ-მიცემობის სისუსტეს და იმ გარემოებას, რომ ამ ბანკის გარეშე, ძვირად თუ რომელიმე ქართველი ვაჭარ-მრეწველი დარჩება, ეს კრება მთელი საქართველოს ვაჭარ-მრეწველთა ყრილობად გარდაიქცევა ასე ფართო საფუძველზედ აგებული ბანკი უმაგალითო მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში და ის დღე, როდესაც ახალი ბანკის აქციონერები ამ ბანკის ოპერაციების დაწყებას გადასწყვეტენ, ჩვენს ისტორიაში ახალი ხანის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს. ამ დღეს ქართველი ერი გადადგამს პირველ ნაბიჯს იმ გზაზედ, რომელმაც თანამედროვე მოწინავე ერები ქონებრივ და გონებრივ აყვავებამდის მიიყვანეს. როგორ შეუძლიან ეხლანდელ დროში ერს სიცოცხლე, განვითარება, თუ ის არსებობისთვის ბრძოლაში შეიარაღებული არ არის ისეთივე მკვეთრი იარაღით, როგორიც სხვა მისი მეტოქე ერები. ის ეკონომიური იარაღი, რომელსაც წარმოადგენს მომავალი ბანკი, აქამომდე რომ აგვეღო ხელში დღევანდელი ჩვენი ვითარება უთუოდ ზევრად უფრო სანუგეშო და საიმედო იქმნებოდა. ბევრი ქონება და დოვლათი დავკარგეთ ჩვენის უმოქმედობით და უვიცობით. და ასეთივე ბედი ეწევა იმასაც, რაც დაგვრჩენია, თუ ვერ შევიგნებთ იმ აზრს, რომ დაწინაურებული ერები, რომელნიც უპირველეს ყოვლისა ეკონომიურ ცხოვრებას ამტკიცებენ, აძლიერებენ,—სწორს გზაზედ დგანან, ჩვენ კი, რომელნიც სიმდიდრეს, დოვლათს არ ვქმნით, არ ვამრავლებთ, არამედ დღითი დღე ვფლანგავთ—მრუდე და საშიში გზით მივდივართ. ეკონომიური დაქვეითება, დაღარიბება, ერთს წამს როდი ხდება, და ასეთი ვითარების შეცვლაც ერთი წუთით არ შეიძლება. ბევრი დავკარგეთ, მაგრამ კიდევ ბევრი შეგვრჩა, როგორც მასალა მომავალ ეკონომიურ ძლიერების შესაქმნელად. განგება გვწყალობს, რომ ასეთი მდიდარი სამშობლო მოგვეცა.

მეურნეობის თითქმის ყოველი დარგისთვის საუცხოვო ნიადაგი და ჰავა, მრეწველობისთვის ყოველნაირი მადანი, რომელთა შემწეობით შესაძლებელია ჩვენში მრეწველობის თითქმის ყოველი დარგის შექმნა, ნავთი, სპილენძი, ოქრო თუ ვერცხლი, რკინა და ნახშირი თეთრი, ნახშირი შავი და ყოველივე ეს მრავალ ადგილას და ბლომად—აი ის საფუძველი, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური, და მის შემდგომ-კი ყოველნაირი,—პოლიტიკური თუ კულტურული ძლიერება და კეთილდღეობა.

მაგრამ ბუნებრივი სიმდიდრე მასალაა, რომლის დამუშავებაა საჭირო და ადამიანისთვის გამოსადეგათ გადაქცევა. ველური ისევ ტიტველ შიშველი და მშიერი დარჩება, თუნდაც ოქროს მთები დაუდგა წინ. საჭიროა ბუნებრივ სიმდიდრის გამოყენება და ამას კი უნდა შრომა, უნარი, ეკონომიური საქმიანობა. სწორედ ეს უკანასკნელი გვაკლდა ჩვენ და ამის გამო ისეთ ქვეყანაში, სადაც თითქმის განგებ თავმოყრილია ყოველგვარი სიმდიდრე და დოვლათი, ერი უაღრეს სილატაკეს განიცდის. რომ ასეთს მდგომარეობაში ქართველი ერი ვერავითარ მიზნებს პოლიტიკურს, თუ კულტურულს ვერ მიაღწევს, ვერ განახორციელებს ეს უკვე ბევრისთვის ნათელი შეიქმნა და ამის მაგალითს სხვა ერთა ისტორიაც ბლომად გვაწვდის. ერიც თითქო შეუგნებლად, ალღოს მიხედვით იკვლევს ახალ გზას,—ეკონომიური საქმიანობა—მეურნეობის და ალებმიცემობის განვითარებით ჩვენში ფეხს იდგამს და ამ პროცესს თუ ბუნებრივი განვითარება მიეცა, ქართველ ერს ბედი კიდევ გაუღიმებს.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება მეტად მოუწესრიგებელი და მოუწყობელია. შემოჭრილ ახალი დროის მოვლენებთან ერთად თავსდება ადამის დროინდელი ნაშთები. ყოველ ეკონომიურ დარგში სწარმოებს მუშაობა თითქოს თვალ-ახვეული, შეუგნებელი. შემთხვევა და არა კანონი ბატონობს აქ, თითეული მოქმედობს თავისთვის, განკერძოებულად და შეთანხმებით და შეკავშირების უპირატესობა ჯერ კიდევ არ არის ცნობილი. ასე რომ ჩვენი ეკონომიური ცხოვრება შესდგება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ, შემთხვევით შეგროვილ ნაწილებისაგან და მას არ ჰაქვავს ერთი რამ იდეა, იდეა მიზან-შეწონილი ეკონომიური ზრდა-განვითარებისა.

## ქალაქ თბილისის აღება წმ. მეფის დავით აღმაშენებლის მიერ. (1121 წელსა)

თბილისი ძველად უბრალო სოფელი იყო... მისი სატახტო ქალაქად გამოცხადება მოხდა ვახტანგ გურგასარის დროს, მეხუთე საუკუნეში, ვახტანგმა ვერ მოასწრო თბილისის დამთავრება, და მისმა მემკვიდრემ დაჩიმ „განასრულა ზღუდენი თბილისისანი, ვით ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ (ქართველ ერის ისტორია ივ. ჯავახიშვილისა, წიგნი მეორე, გვ. 288—289). აღსანიშნია, რომ თვით სომხთა მეისტორიენი **უხტანესი** (X საუკ.) და **ჩამჩიანი** (ტ. II, გვ. 366 მისი ისტორიისა) მოწმობენ, რომ თბილისი ქართველთა სატახტო ქალაქი იყო. მათ მიერ მოყვანილია ცნობა იმის შესახებ, რომ **ისააკი** თბილისის ეპისკოპოსი **496 წელს** (მეხუთე საუკუნის გასულს) დაესწრო **ვაგარშაპატის** კრებას, და მასთან ერთად იყვნენ სხვა ქართველი მღვდელთმთავრები, იმ დროს მცხეთის კათოლიკოსად ყოფილა **გაბრიელი,** რომელსაც პაექრობა გაუმართავს სომხთა მღვდელმთავრებთან მეოთხე მსოფლიო კრების შესახებ. მოსე ცურტაველი, სომხთა ეპისკოპოსი, სწერს, რომ 580 წელს ის იყო თბილისში, ქართველთა ქალაქში, რომელიც გაშენებულია მტკვრის ნაპირებზე, და შეხვდა აქ სიონის კარისბჭეში თბილისის ეპისკოპოზს. სიონი, მოსეს სიტყვით, აშენებულია მეფის სასახლის ახლოს. იმ დროს კათოლიკოსად იყო კირიონი ანუ სიმეონი. ამ კირიონთან ჰქონდათ მიწერ-მოწერა სომხის მღვდელთ მთავრებს სარწმუნოების გამო... კირიონის სახელზეა 603 წელს მოწერილი პაპის წმ. გრიგოლის ეპისტოლე... კირიონის სახელთანაა შეერთებული **განხეთქილება** სომხთა და ქართველთა ეკლესიებს შორის, რომელიც იმით დამთავრდა, რომ 607 წ. სომხთა კათალიკოსმა აბრაამმან თავის სამწყსოს ეპისტოლე მისწერა და გამოუცხადა: **სომხებს არ ჰქონოდათ არაფერი საზიარო ქართველებთან**—არც ლოცვაში, არც სასმელ-საჭმელში, არც მეგობრობაში, არც შვილების აღზრდაში, არც ცოლ-ქმრობაში **შეგიძლიათ ივაჭროთ იმათთან, როგორც ურიებთანაო...** (სომხთა ისტორიკოსის კაგანკატვაცის წიგნი. ალბანეთის ისტორია გვ. 133. რუსულზე თარგმანი ემინისა).

851 წლამდის თბილისი ქართლის სამეფოს დედაქალაქად ითვლებოდა, თუმცა ქართლში ერთხანად მეფობაც კი მოსპეს სპარსებმა... ამ წელში მოხდა ბუღას შემოსევა და ის სამუდამოდ დაიპყრეს არაბებმა. აქ სცხოვრობდნენ არაბთა ემირები, რომელნიც თვალყურს ადევნებდნენ ქართველთა ცხოვრებას და ბაღდადის ქალაქში ხალიფთან გზავნიდნენ ქართველთაგან გადახდილს ხარჯს. თუმცა არაბნი ბატონობდნენ თბილისში, მაგრამ მასში ძლიერი იყო ქრისტიანობა, რაც ცხადია სჩანს წმ. აბოს ცხოვრებიდან. (მერვე საუკ.) თბილისი—VIII—X საუკ. პატარა ქალაქი ყოფილა. ქალაქს გარშემო ორი ზღუდე ჰქონია. მტკვარი ორ ნაწილათ ჰყოფდა ქალაქს: თვით თბილისად და ისინად (აწ ავლაბარი). ამ ორს ნაწილს მერვე საუკუნეში ორი ხიდი აერთებდა, იქვე სადაც დღეს ავლაბრის ხიდებია, და ამ ხიდებზე აღმართული ყოფილა ჯვარი. (ივ. ჯ—შვილი წიგნი მეორე გვ. 289)

1067 წელს სელჩუქ-თათრების წინამძღოლმა არპ-არსლანმა აიღო თბილისი და გადასცა განჯის ემირის გამგეობას. ქართული წყაროები მოწმობენ, რომ 1122 წელს (ივ. ჯავახიშვილის აზრით 1121 წ.) დავით აღმაშენებელმა წაართვა მაჰმადიანებს თბილისი და განაწესა იგი საქართველოს სატახტო ქალაქად სამუდამოდ. ამის შემდეგ ქართველობამ ფეხი მოიმაგრა მთელ ამიერ კავკასიაში და ხელთ იგდო ამ ქვეყნის ჰეგემონია. დიდ მნიშვნელობას აძლევენ ამის გამო დავითის მიერ თბილისის აღებას მუსულმანთა მწერლები და ამ გარემოების შესახებ ცნობებს ათავსებენ თავიანთ მატიანეებში.

მაჰმადიანთა მწერალი **იაკუტი** ამბობს: გურჯები (ქართველნი) დამკვიდრდნენ თბილისში და **ძლიერ კარგათ ეპყრობოდნენ დამორჩილებულ მცხოვრებლებს.** მეორე მწერალი **ელ-აინი** ამბობს: „დავითმა გაახარა გულნი თბილისის მცხოვრებთა (მაჰმადიანებს გულისხმობს), რომელთაც მას მიმართეს თხოვნით სხვა და სხვა მოწყალების შესახებ. იმან უბრძანა ქრისტიანებს, რომ მათ **ღორები** და **გოჭები** არ დაეკლათ (მაჰმადიანთა ახლოს), ნება დართო მუსულმანებს **საკუთარ ფულის** მოჭრისა ღვთის მუჰამედის და ხალიფის სახელთა ზედ წარწერით, ქრისტიანთ უბრძანა, რომ მაჰმადიანებთან ერთად აბანოებში არ ეარნათ, ყოველ დღეს დავითი თავისი შვილის დემეტრის თანხლებით დადიოდა **უმთავრეს მეჩეთში,** რათა მოესმინა ლოცვა მეფისათვის და „ყურანის“ კითხვა, აძლევდა დიდ სახსარს „მუაძინებს“ და „ქათიბებს“, ააშენა ქარვასლა და სახლი მაჰმადიანთ სუფიებისა (ნასწავლთა) და მგოსანთათვის და დაუნიშნა მათ ჯამაგირი. თუ ვინმე მათგანი თბილისიდან წასვლას მოისურვებდა, დავითი მას ფულით დახმარებას აძლევდა. ერთი სიტყვით—დაასკვნის ელ-აინი—„**დავითი მუსულმანებს გაცილებით მეტს პატივს სცემდა, ხანამ თვით მუსულმანთა მეფეები**“ (იხ. ბროსსეს ფრანგ. წიგნი Addition“ გვ. 293 - 141)

მესამე მწერალი მუსულმანთა **შემედ-დინი** ამბობს; დავით მეფემ სასტიკი ბრძანება გასცა, რომ პარასკევს დღეს მუსულმანებს ქრისტიანებმა ლოცვაში ხელი არ შეუშალონ და არამც და არამც ლოცვა არ შეაწყვეტინონ (იქვე გვ. 242).

მუსულმანთა ემირებს კავკასიაში და მცირე აზიაში კარგად ესმოდათ ის შედეგები, რომელნიც მოჰყვებოდა დავითის გაძლიერებას. ამის გამო ამ ემირებმა შეჰკრეს პოლიტიკური კავშირი... კავშირის მიზანი იყო ხელი შეეშალა დავითის გაძლიერებისათვის. მოკავშირენი წამოვიდნენ საომრად დავითის წინააღმდეგ, **მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ** დავითის მიერვე. ამ დამარცხების შედეგი იყო დავითის მიერ თბილისის აღება... დავითი პირველ ხანად, თბილისში შესვლის შემდეგ მრისხანედ იქცეოდა, მაგრამ მალე მრისხანება შესცვალა მისმა საკვირველმა და იშვიათმა კაცთმოყვარეობამ, რომლის სხივნი ქვეშევრდომთა გულს უნებლიედ ხიბლავდნენ. დავით აღმაშენებელი იშვიათი მეფე იყო: ის **აღიარებდა სარწმუნოების თავისუფლებას.** ამის მეოხებით დავითმა აღუსრულა მუსულმანებს ყველა ის თხოვნა, რომელთაც კავშირი ჰქონდათ მათ მიერ ყველა წეს რიგის უკლებლივ შესრულებასთან.

ის ღრმად განვითარებული ადამიანი იყო და ძლიერ საფუძვლიანად იცოდა ღვთის მეტყველება თავისუფლად ლაპარაკობდა რამდენიმე ენაზე: ქართულს გარდა ბერძნულს, სომხურს, არაბულს, თურქულს და სხვა ენებზე.

ხშირად ებაასებოდა მუსულმანთა ნასწავლ გვამებს იმის შესახებ, „ყურანი“ ღვთის მიერ არის ბოძებული, თუ მომაკვდავ ადამიანის შედგენილია. საამისოდ კი დიდი ცოდნა იყო საჭირო. მუსულმანები დაუმეგობრდნენ ქრისტიან ქართველებს და შეითვისეს ზოგიერთი მათი ჩვეულებანი და ცხოვრების წესები. იაკუტი ამბობს, რომ **„თბილისის მუსულმანები ღვინოსაც კი სვამდნენ და იმას ჩადიოდნენ, რაც სჯულის მიერ აღკრძალულია“** (ბროსსეს Addait... გვ. 237).

მსოფლიო ისტორიაში **იშვიათად** შეხვდებით ისეთს მეფეს, რომელიც ისეთ ვრცელ მსოფლმხედველობით იყვეს დაჯილდოებული, როგორათაც დავითი იყო შემკობილი. მან თავის არსებაში შეიერთა და განახორციელა ქართული ჭკუის, ნების და გულის საუკეთესო თვისებანი, რომელნიც ქართველს უანდერძეს მისმა წინაპრებმა და ისტორიამ.

ჭეშმარიტად ქართველ ერს შეუძლიან დავით მეფით უფრო მეტად იამაყოს, ვინემ სხვა ძველ ქართველ გმირით და მოღვაწით. ტყუილად კი არ უწოდებს ჩვენი მგოსანი-რომანტიკოსი გრიგოლ ორბელიანი დავით აღმაშენებელს:

„მხედართ მთავარსა უძლეველს,
გულ მოწყალესა მსაჯულსა,
ზეშთაგონებით განსწავლულს
ენა მდინარე მეტყველსა.

ხმა ჰყო და აღსდგა ივერი,
ფენიქსებრ განახლებული,
დიდების სხივით შემოსილ,
მშვიდობით აღყვავებული!

**ი. ფერაძე.**

ასეთს პირობებში იბადება სავაჭრო-სამრეწველო ბანკი. ეს მოვლენა ამტკიცებს, რომ ჩვენი ერის საერთო ეკონომიურ უნიათობას ბოლო ეღება. საზოგადოების ერთი ნაწილი იგნებს ეკონომიური ორგანიზაციის, შეთანხმებული მოქმედების საჭიროებას. ახალი ბანკი იძულებული იქნება სათავეში ჩაუდგეს ჩვენი ერის ეკონომიურ აღორძინების საქმეს და კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის აქციონერთა ყრილობა, რომელიც მაისისთვის არის განზრახული, საქართველოს მომავალ ეკონომიური აღორძინების საძირკვლად უნდა ჩაითვალოს.

ალ. ახათიანი.

# დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

ვერდენთან ბრძოლის მეოთხე პერიოდი დაიწყო. გერმანელებმა აუარებელი ახალი ზარბაზნები მოიტანეს და ყველგან ერთი-ორად გაამრავლეს.

—

ფრანგები ვერდენთან თავის პოზიციებს გალომებულნი ამაგრებენ და ახალ-ახალ ჯარს ჰგზავნიან.

—

გერმანელების თავგანწირული იერიშები ფრანგებმა 12 აპრილს მოიგერიეს და ავანკურის გამაგრებული ადგილები შეინარჩუნეს.

—

სიმაგრე ვოსკენ მიმავალი გზები ჯერ ისევ ფრანგებს უჭირავთ, რაც გერმანელებს საშუალებას უსპობს ამ სიმაგრეზე იერიშები მიიტანონ.

—

ცნობილს ფრანგ სოციალისტ ერვიეს გადაუწყვეტია დაარსოს ახალი ეროვნულ სოციალისტური პარტია, რომელიც უარჰყოფს კლასთა ბრძოლას. ამასთანავე მუშათა ინტერნაციონალის მაგიერ იდეალად უნდა აღიარონ შეერთებული შტატები ევროპაში, რომელიც უნდა დაარსდეს ბურჟუაზიულ კლასებთან შეთანხმებით.

—

ვენაში მოხდა ავსტრია-გერმანელების წარმომადგენელთა კონფერენცია, სადაც უნდა განიხილონ საბაჟო და სხვა და სხვა ეკონომიური საკითხები. მთავარი განსახილველი საკითხი პოლონეთის დანაწილების საკითხი იქნება. ავსტრიელების წინადადება შესახებ იმისა, რომ კონფერენციაზე პოლონელების წარმომადგენელებიც დაეშვათ, გერმანელებმა არ მიიღეს.

—

„ნოვოე ვრემია" სწერს: ხოშტარიას მიერ სპარსეთში აღებულ კონცესიებს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვსო.

ლ. ჯ.

—

(მოსკოვის საკ. კორესპოდენ.)

მოსკოვის ქართველ საზოგადოების წლიურ კრებაზე ერთხმად გადასწყდა, დაარსონ მოსკოვში ქართული მრევლი. დურნოვო დაჰპირდა იშუამდგომლოს და დაიხმაროს მიტროპოლიტი პიტირიმი.

—

ირლანდიაში მომხდარ აჯანყების მთავარი მიზანია გამოაცხადონ ირლანდიის დამოუკიდებლობა. აჯანყებას ხელმძღვანელობენ ემიგრანტები, რომელნიც ყოველგვარ დახმარებას იღებენ გერმანელებისაგან. უკანასკნელნი დარწმუნებულნი არიან, რომ აჯანყება ხელს შეუშლის ინგლისს მიაშველოს ჯარები საფრანგეთს. ამავე დროს ამერიკაზედაც გავლენას იქონიებენ ყველა ის პირნი, რომელნიც ამბოხებას თანაუგრძნობენ.

—

გერმანეთმა უკვე სავაჭრო ხელშეკრულობა დასდო რუმინეთთან. ახლა გერმანეთი სცდილობს ასეთივე ხელშეკრულება დასდოს ოსმალეთთან, ავსტრიასა და რუმინეთს შორის. ფიქრობენ ამ მოლაპარაკებას უთუოდ პოლიტიკური მიზანი აქვსო.

—

ხმებია, იაპონია ისარგებლებს მომენტით და რა წამს გერმანეთის და ამერიკის დამოკიდებულება გამწვავდება, ამერიკის წინააღმდეგ გაილაშქრებსო.

—

მთავრობამ გადასდო ფული იმ მცხოვრებთა დასახმარებლად, რომელნიც რუსეთის მიერ ახალ ოსმალების მიწა-წყალზედ მოსახლეობენ.

—

შაბიამანი მოსკოვში იქიდან გადმოტანით ფუთი 30 მანეთი ღირს.

ვ. ვ.

# ახალი ამბავი

✦ **სასახლეში.** კახეთიდან თბილისს დაბრუნდნენ მათი იმპერატორობითი უმაღლესობანი მეფის ნაცვალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უმაღლესი ოჯახობით.

✦ **შიო მღვიმელის დილა.** 23 აპრილს შიო მღვიმელის დილა იმართება ხონში მისი თანადასწრებით. ხოლო ყვირილაში კი 24 ან 30 აპრილს.

✦ **ნიკო ლომაურის ხსოვნა.** დღეს 17 აპრილს ქ. გორში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის ნიკო ლომაურის სულის მოსახსენებლად.

✦ **შიო მღვიმელის ნაწარმოებთა გამოცემა.** ქართულ კულტურის მოყვარე საზოგადოება შეეკითხა ქუთაისის წიგნის სავაჭროს, ბ-ნ ოცხელისას, რა პირობით დაუთმობს საზოგადოებას შ. მღვიმელის ნაწარმოებთა გამოცემის უფლებას.

✦ **ღვინოზე აქციზის მომატება.** როგორც გავიგეთ ფინანსთა სამინისტრო აპირებს აქციზის მომატებას ღვინოზე. განზრახულია ბოთლზე აბაზის აქციზის შემოღება.

✦ **ქლექთან მებრძოლი** საზოგადოება 20 აპრილს ქალაქში ყულაბებით ფულს შეაგროვებს.

✦ **სამხატვრო-სალიტერატურო სალონი.** კნ. ა. ნ. ბექთაბეგოვისა თვის ბინაზე აწყობს სამხატვრო-სალიტერატურო სალონს, სადაც დრო გამოშვებით თავს მოიყრიან წარმომადგენელნი ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურისა.

✦ **შაბიამნით ვაჭრობა.** ვინაიდან სხვა და სხვა ხმებია გავრცელებული ძმ. ფრიდონოვის მიერ მიღებულ 12 ათას ფუთ შაბიამნის უწესრიგოდ განაწილებაზე, მევენახეობისა და მეღვინეობის საგუბერნიო კომიტეტმა აირჩია განსაკუთრებული კომისია ამ ხმების შესამოწმებლად. კომისიაში არჩეულ იქმნენ ვ. ი. რცხილაძე, მ. ა. ვერმიშევი, ს. ნ. ყაზახაშვილი და ბ. ბ. ბაგრამოვი.

✦ **თბილისში ჩამოვიდა** ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ-დი დ. ო. ნიჟარაძე.

**თ. დ. ჟორდანიას ავადმყოფობა.** თბილისში ამ ჟამად იმყოფება ისტორიკოსი თ. დ. ჟორდანია, რომელიც თვალით ავადმყოფობითაა შეპყრობილი.

✦ **ვ. ბარნოვის ნაშრომი.** ვ. ზ. ბარნოვს დაუმთავრებია თვისი ახალი ნაშრომი: „ისტორია საქართველოს ლიტერატურისა" ამ ნაშრომს ბ. ბარნოვი ლექციის მსგავსად შემოდგომაზე წაიკითხავს ქართულ კულტურის მოყვარე საზოგადოებაში, ხოლო შემდეგ ცალკე წიგნათ იქნება გამოცემული.

✦ **პროფ. მანუილოვის ლექცია.** 15 მარტს საარტისტო საზოგადოების დარბაზში პროფ. მანუილოვმა წაიკითხა ლექცია, რომელსაც აუარებელი საზოგადოება დაესწრო. ლექტორი მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს. ლექციის შემდეგ გაუმართეს ბანკეტი. ბანკეტს—80 კაცამდე დაესწრო. თამადათ ა. ი. ხატისოვი იქმნა არჩეული. ბანკეტზე მრავალი სიტყვა წარმოითქვა. სხვათა შორის სიტყვები წარმოსთქვეს გრ. ნ. დიასამიძემ და კიტა აბაშიძემ.

✦ **ქართველ ხელოვანთა საზოგადოების** გამგეობამ განიზრახა დაარსოს თბილისში სამხატვრო გალერეია და წიგნთსაცავი. ამიტომ მან შუამდგომლობა აღძრა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წინაშე, დაუთმოს იდგასნული სახლი ელისაბედის ქუჩაზე.

✦ **სამეურნეო იარაღები.** მიწადმოქმედების დეპარტამენტი სთხოვს კავკასიის სასოფლო მეურნეობის ინსპექტორს დაუყოვნებლივ შეჰკრიბოს ცნობები, თუ რადარა და რამდენი სასოფლო სამეურნეო იარაღია საჭირო ამა თუ იმ რაიონისათვის, რათა დეპარტამენტს საშუალება მიეცეს 1917 წლისათვის მიაწოდოს საჭირო მანქანები.

✦ **ახალი თავშესაფარი.** ქალაქთა კავშირს გადაუწყვეტია ტრაპიზონში გახსნას 300—500 ბავშვისთვის თავშესაფარი. ამ საქმის მოსაწესრიგებლად ტრაპიზონში იმყოფება თავჯდომარე ა. მ. არღუთინსკი.

✦ **კბილის ექიმთა კრება.** 15 მარტს ო. ს. ფეოდოროვის თავმჯდომარეობით შესდგა კრება თბილისის ოდონტოლოგიურ საზოგადოებისა. კრებას მოხსენდა ახლად დაარსებულ წესდების შინაარსი. შესახებ კბილის საწამლებელ იარაღთა საწყობის დაარსების შესახებ კოოპერატიულ ნიადაგზე.

✦ **სახალხო მასწავლებელთა ურთიერთ შორის დამხმარე საზოგადოების** საორგანიზაციო ბიუროს კრება მოხდება დღეს.

✦ **არქეოლოგიურ საზოგადოებაში.** 15 აპრილს ლ. გ. ლოპატინსკის თავმჯდომარეობით შესდგა კრება კავკასიის არქეოლოგიურ საზოგადოებისა. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამ საზოგადოების საპატიო წევრს განსვენებულ ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის ხსოვნას. შემდეგ მოხსენება წაიკითხა ე. ვ. ლალაიანმა „არქეოლოგიური კვლევა-ძიება ვართაშენსა და ნიჟში" უდინების ცხოვრებიდან. საზოგადოდ მომხსენებელმა დაუმტკიცა კრებას, რომ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ძლიერ აფერხებს მიწების კერძო ხელში გადასვლა.

✦ **კომერციულ მასწავლებელთა უ ფლება.** სახალხო განათლების მინისტრისაგან უმაღლესად დამტკიცებული ცირკულიარი მოვიდა, რომლის ძალით ნება მიეცათ კომერციულ სასწავლებელში 8 კლას დამთავრებულთ, რეალურ სასწავლებლის მოწაფეებთან ერთად, საიმპერატორო უნივერსიტეტებში შესვლისა.

ასეთი უფლება ენიჭება ბაქოს და თბილისის საკომერციო სასწავლებლებს, თბილისის ვაჭართა საზოგადოებისას. ვისაც კი ამ სასწავლებლებში მხოლოდ 7 კლასი აქვთ დამთავრებული, ისინი გამოცდილ იქმნებიან ლათინურსა, რუსულს ენასა, რუსულ ლიტერატურასა, ისტორიასა და მათემატიკაში, როგორც რეალურ სასწავლებლის მოწაფენი.

✦ **ქალაქის ტრამვაი.** 1 მაისიდან ტრამვაის ვაგონები იმუშავებენ ნაშუაღამევის 2 საათამდე. განზრახულია ღამით ამუშაონ მხოლოდ 12 ვაგონი. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა ღამის სამგზავრო ფასი გაადიდოს და ამის შესახებ მოხსენებას წარუდგენს საბჭოს ხვალ 18 აპრილს. როგორც ამბობენ, გამგეობას აზრად აქვს ტარიფი ერთი-ორად მაინც გაადიდოს.

**გორი.**

— დღეს ქ. გორში, ნაშუადღევის პირველ საათზე, მოხდება არა ჩვეულებრივი კრება გორის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა. კრებას ბევრი საგულისხმო საკითხი აქვს გასარჩევი. სხვათა შორის გასარჩევია—კულტურულ კავშირში მონაწილეობა და სხვა მორიგი საკითხები.

—

**შეცდომის გასწორება**

ქ-ნ განდეგილის წერილში გუშინ შეცდომით იყო დაბეჭდილი: **ბევრს გვაძლევს და არაფერს გვავალებს**, უნდა ყოფილიყო: ბევრს გვავალებს და არაფერს გვაძლევს.

# ესეც დარაზმვა!

„დავრაზმდეთო",—ეს დევიზი წამოაყენა ყველა ერმა, რაწამს მსოფლიო კატასტროფა მოხდა და ომის ღმერთმა ვულკანის ძალით აღმოხეთქა. მას შემდეგ ყველა ერი, დიდი და პატარა გაჩქარებულს ფაცა-ფუცში, მომენტის კარნახის მიხედვით ირაზმება, სიბრძნის კბილს იჩენს. ჩვენი ერიც ამ გზას დაადგა. „დავრაზმდეთო!" აქაც გაიმეორეს და რაოდენადმე შესაფერს ზომებსაც მიჰმართეს ამ დარაზმვის" მოსაწესრიგებლად.

რა თქმა უნდა, ყოველი დარაზმვა კარგია თუ კი იგი წესიერადა ხდება. უნდა გამოვტყდეთ, ჩვენი საზოგადოებრივი „დარაზმვა" ვულკანის კრატერთან სასურველად ვერ მოწესრიგდა. სურვილი და რეალობა სხვა და სხვა მხრით გარბის. მარტო ის ფაქტი, რასაც ჩვენ გხედავთ ჩვენს მეზობელთა შორის ასეთს „დარაზმვის" შემდეგ, ცხადსა ჰყოფს, თუ რა შორი შორსა ვართ ჩვენ და ისინი სურვილთა მორალიზაციების საკითხში, სიტყვასა და საქმიანობაში. იმ დროს, როდესაც მთელი ქვეყანა მათზე ლაპარაკობს, იმ დროს, როდესაც თვითონ ეგენიც „ჩვენობით" ლაპარაკობენ იქ, სადაც ქართველთა სიმამაცეს დაფნით უნდა დაჰმშვენებოდა სპეტაკი შუბლი, იმ დროს, როდესაც დაუცხრომელი მუშაობით და ენერგიით მათ მიაღწიეს სახელს, პატივს, მილიონებს ეზიდებიან თვისტომთა საკეთილოდ, მათი ბედის მოსაწესრიგებლად, ჩვენში, ჩვენებური „დარაზმვისა" და „საქმიანობის" შედეგად სულ უბრალო რეზულტატებსაც ვერ მივაღწიეთ, რომ პური და სიმინდი მაინც საკმაო გვეშოვნა უკაცო სოფლის გასაძღომად.

თუ ნივთიერ საკითხში ვერ გამოვიჩინეთ უნარი შესაფერი „დარაზმვისა", მით უმეტეს ეს ითქმის პოლიტიკურს სფეროში, მიუხედავად რამდენიმე არაჩვეულებრივი შემთხვევისა, როდესაც საქართველოს შეეძლო საკუთარ იარებზე გულახდილად ლაპარაკი, ჩვენ დავდუმდით და უცხომაც ვექილობა ვერ გაგვიწია. ეკლესიის საკითხიც რა არის, ესეც კი ვერ ჩამოვაყალიბეთ სათანადოდ. პრესაში სოციალისტობა სდუმან, რცხვენიათ, როგორც ინტერნაციონალის მქადაგებელთა, ხოლო „საქართველოს" ძახილიც ხმად უდაბნოში მღაღადებელისად რჩება, არავინ ისმენს, როგორც „რეტროგრადთა" და „უპროგრამო" ხალხის ვითომც და კაციჭამიობის ძახილს. კონკრეტული მაგალითი: დიდი ხანი არ არის, რუსთა საეკლესიო მთავრობამ მოინდომა სოხუმის ოლქის მოკვეთა ჩვენი ეკლესიის სხეულიდან. ამის შესახებ ხმა აღიმაღლა „საქართველომ", რამდენიმე წერილიც დასტამბა, მაგრამ... შედეგად ის მივიღეთ, რომ სხვები დუმილით გაგვიმასპინძლდნენ, არ დავინახეთ გულისწყრომა, ანუ პროტესტი არა თუ სოციალისტთა მხრით, თვით საზოგადოებაც დამუნჯდა, თანაგრძნობა არ იყო, წარმოიდგინეთ, სამღვდელოებაც კი ერთხელაც არ შეიკრიბა მსჯავრის გამოსატანად, რათა ენერგიული პროტესტი განეცხადებინა სადაც ჯერ არს. მართალია, ამის გამოისად თითქოს სადღაც რაღაც მიმგზავსებული რამ კრება მოხდა, ერთგვარი ჩოჩქოლი, როგორც ამას სჩვევიან ჩვენებური სამხრეთელ ტემპერამენტის ხალხი, მაგრამ კრება ერთ კრებით შეიფარგლა, მოვალეობა გარდახდილ იქმნა და... კიდევ დუმილს მივეცით თავი, მაშინ როდესაც, როგორც გუშინდელ „საქართველოს" ნომერში დაინახვდით, უცხონი ზრუნავენ ამ საკითხის გარდასაწყვეტად, ნ. დურნოვონი უფრო შფოთდებიან, ვიდრე ჩვენ.

ჩვენ შეგვეძლო კიდევ ბევრი რამ ჩამოგვეთვალა, მაგრამ საილუსტრაციოდ ესეც ჰკმარა. „დარაზმვა" ასეთი სუსტი სახით, როგორც ჩვენში მოხდა, არასოდეს სასურველს რეალ რეზულტატებს არ მიგვაღებინებს.

დ. კ—ძე.

# დავიწყებული მოვალეობა

დღეს მე მოგახსენებთ ვალერიან გუნიაზე.

ჩვენი თეატრის ვიწრო წრეში და საზოგადოთ, მათ, ვინც კი სათეატრო საქმის მსვლელობას თვალ-ყურს ადევნებს, კარგათ იციან, რომ პირადათ მე არ ვეკუთვნი გუნიას გუნდრუკის მკმეველებს...

და ეს განცხადება ამ ჟამად მით უფრო საჭიროდ მიმაჩნია, რომ ჩვენში მეტად გავრცელდა თუ გაღრმავდა ჯგუფობრივობა, თავის წრის შემოზღუდვა და, რაც ყველაფერზე უარესია, ის ლოზუნგი, რომ „თუ ჩვენს ბანაკს არ ეკუთვნის, თუ ჩვენსავით არ აზროვნებს, ის არც დასაფასებელია და არც ღირსი მოწონებისა".

ეს აზრი მიუცილებლად ამ თავითვე ძირიან-ფესვიანად უნდა ამოვარდეს ჩვენი ცხოვრების ნიადაგიდან, ის ღვარძლ-ბალახაა და გაპარტახების მეტს ვერას მოგვიტანს.

მაშ აქაც თვით ჩვენ, ვინც არ ვიზიარებდით გუნიას ხაზს მოქმედებისას, უსათუოდ უნდა გულწრფელად აღვიაროთ, რომ გუნია მიუცილებლად თვალ-საჩინო ნაკვთია ჩვენს ცხოვრებაში...

მისი მძლავრი პიროვნება, მისი ენერგია—დაუშრეტი, დაუღალავი საქმიანობა დიდად პატივ-სადებია და დასაფასებელი.

ქართველობა კი გუნიას იცნობს, როგორც დიდათ თვალ-საჩინო მსახიობს, რომელსაც დაუვიწყარის ნაკვთიერებით განუსახიერებია ბევრი სათევარი; იცნობს, როგორც მოუღალავსა და მეტად ნაყოფიერს დრამატურგს; როგორც ჟურნალისტს და განსაკუთრებით კი დაუცხრომელ ორგანიზატორს ქართული სეზონებისას, ხელმწიფე შემდგენელს მსახიობთა ჯგუფისას.

გუნიამაც მის ამხანაგებთან ერთად სცენაზე მოგვცა ახალგაზრდა, საჭირო მსახიობნი ქართული თეატრისათვის და ლიტერატურაში კიდევ ხელი შეუწყო ისეთ მგოსანთა ნიჭის გაფურჩქვნას, როგორიც შანშიაშვილი და გრიშაშვილია.

თუ არა ვცდები მის ორგანოში დაიწყო აგრეთვე პირველი წერა ბელეტრისტმა ნიკ. ლორთქიფანიძემ.

მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ამ წერილის მოვალეობას არ შეადგენს გუნიას ღვაწლთა აღრიცხვა.

მან მხოლოდ დავიწყებული მოვალეობა უნდა გაგვახსენოს. უნდა გაგვახსენოს, რომ ამ ჭირნახულ კაცსაც მადლობის გადახდა უნდა ქართველთაგან.

მართალია თითქო ერთი მხრით ამას დრო არ უწყობს ხელს. ამ „სისხლის წვიმების" დროს სადა გვაქვს თავი ან გული საზეიმოთ და საიუბილეოთ. მეორე მხრით კიდევ ეს იუბილეები ისე მოხშირდა, რომ თითქო ფასიც დაეკარგა და ილაჯიც წაიღოვო.

მაგრამ, ჩემის ფიქრით, თავი და გული ყოველ ადამიანს და მით უფრო ქართველს, ესეთ მდგომარეობაში მყოფს, კიდევ უფრო თან უნდა ახლდეს და სწორედ ამ გულის კუნჭულში ყოველთვის უნდა გამოსძებნოს მისი ჭირნახულ შვილისადმი მადლობა და ნუგეშისცემა.

რაც შეეხება ზეიმებს და იუბილეებს, ჯერ კულტურულ ქვეყნებს სხვაგვარი წესი საჯაროთ თავის გრძნობის გამოცხადებისა არ გამოუგონია და ჩვენც რათ უნდა უკუ ვაგდოთ?

ნუ შეგვეშინდება ზოილების.

ისე კი ამ დღესასწაულს შეიძლება დავარქვათ: **„მადლობის დღე ვალერიან გუნიას"** და დარწმუნებული ვარ მთელი საქართველო ამ მადლობას ეტყვის ნაღვაწ კაცს.

არის ერთი, კიდევ სხვა, ცოტაოდენათ შემაფერხებელი გარემოება. ეს არის „დატა" იუბილეისა. განსვენებული ხახანაშვილი თავის „სიტყვიერების ისტორიაში" გვეუბნება, რომ გუნიამ 1883 წ. დაიწყო თავისი მოღვაწეობაო. თუ ეს ასეა მაშინ ეხლა 33 წელიწადი მოდის და ესეთი ხანა თითქო იუბილეებში სადღესასწაულოთ არ არის მიღებული. როგორც ვიცით მიღებულია 25, 30 და სხვ. წლის თავების აღნიშვნა, მაგრამ ნუ თუ ამ ფორმალურმა მხარემ უნდა შეგვაჩეროს!—თვით ჩვენ ქართველები რამოდენჯერმე, იუბილეების დროს, გადავცდით ამ ფორმალისტობას და რაღა ეხლა უნდა ავხირდეთ! მით უფრო ამ კაცს უკვე ორი საიუბილეიო ხანა—25 და 30 წ.—გამოუვლია კიდეც.

მაშ მოვინდომოთ ყველამ: ჩვენმა დაწესებულებებმა, კერძო, გავლენიანმა პირებმა, მისმა პროფესიით ამხანაგებმა, შეუდგეთ ეხლავ საქმის ორგანიზაციას და **შემოდგომაზე** ვანუგეშოთ კიდეც ჩვენის თბილი გულით და გავამხნეოთ, როგორც ზნეობრივ მხრით, ეგრეთვე ნივთიერადაც თვალ-საჩინო პიროვნება—ვალერიან გუნია.

შალვა დადიანი.

# გორის სასოფლო-სამეურნეო საზოგად. კრება

დღეს, 23 აპრილს, ქ. გორში მოხდება არაჩვეულებრივი კრება გორის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა.

საზოგადოება განსაკუთრებულ დროს დაარსდა და განსაკუთრებითი მოვალეობა-საქმიანობაც ეკისრება დღევანდელ ჩვენი მდგომარეობის მიხედვით.

დღეს უკვე საერთო რწმენაა, რომ ჩვენი ხსნა გონიერ საქმიანობაშია, რომელიც აამოძრავებს და გააძლიერებს ჩვენ ეროვნულ დოვლათს, ეკონომიურ-კულტურულ წარმატების გზაზე დაგვაყენებს, საერთო შველის იმედს მოგვცემს.

ეს აზრი დღეს უკვე ჩვენი ცხოვრების დედა აზრია და ღრმა რწმენით ავსებს ყველა ქართველის საქმიანობას.

გორის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაც, ამ ცოტა ხანში დაარსებული, საქმიანობის დიდს სურვილს და უნარს იჩენს. ჩვენი სინამდვილის სრულის წარმოდგენით, იგი სცდილობს სათანადო და შესაფერი ანგარიში გაუწიოს მორიგ, აუცილებელ საკითხებს როგორც სპეციალ სამეურნეო დარგში ისე საერთოდ ჩვენს ცხოვრებაში. ამ აზრით არის გამოწვეული დღევანდელი არა ჩვეულებრივი კრებაც. იმედია ჩვენი მეურნენი თანაგრძნობით შეხვდებიან და ინტერესით მოეკიდებიან წამოყენებულ საკითხებს.

# დიდუბის ეკლესია

ამ ბოლო ხანს დიდუბის ეკლესიის გარშემო დიდი განგაში ასტყდა; აღმოცენდა ეგრედ წოდებული „დიდუბის საკითხი", რომელმაც საგონებელში ჩააგდო ეროვნულ ინტერესების მოტრფიალე და გულშემატკივარი ქართველი. ეგზარხოს ინოკენტის დროს უცხოელებმა, რომელნიც დროებით იკმაყოფილებენ სარწმუნოებრივ გრძნობას და მოთხოვნილებას დიდუბის ეკლესიაში, ამ ქართველთა სიწმიდის დაპატრონება მოინდომეს და თითქმის [illegible] მიზანს. ქართველებმა [illegible] მიჰმართეს ყოფილ ეგზარხოსს პიტირიმს, რომელმაც, როგორც გაზეთებში იყო აღნიშნული, ურჩია მათ ამ უცხო ელემენტისათვის თავისი ხარჯით იქვე, მახლობლად, მეორე ეკლესიის აგება. რა აზრისაა ამ საკითხის შესახებ ახალი ეგზარხოსი, არ ვიცით, მხოლოდ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი ამბავი, რომელიც ახალ ხანას იწყებს „დიდუბის საკითხის" ისტორიაში.

ოთხშაბათს, 13 ამ თვეს, დიდუბეში მწირველი ბრძანდებოდა ახალი ეგზარხოსი, მთავარ ეპისკოპოსი პლატონი. წირვის დასასრულ მისმა მეუფებამ ამბიონიდან წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც რამოდენიმეჯერ ხაზგასმით გაიმეორა, რომ „დიდუბის ეკლესია ქართველთა ეროვნული და ისტორიული სიწმიდეაო". ამნაირად ეგზარხოსმა თვით აღიარა ჩვენი უცილობელი უფლება სადავო საკითხში. თან მისმა მეუფებამ მწყემსმთავრული გულისწყრომა გამოუცხადა ქართველებს, განსაკუთრებით დიდუბის სამღვდელოებას, აწინდელსაც და უწინდელსაც რომ ასე უპატრონოდ გვაქვს მიგდებული ეს ეროვნული სიწმინდე, სადაც „თამარ მეფეს განუცდია უშესანიშნავესი წამები ამა ქვეყნიურ ცხოვრებისაო", რომ ამ სიწმიდესთვის ვერც გარეგნობით და ვერც შინაგანი მოწყობილობით ქართული ელფერი ვერ მიგვიცია; „რატომ ვერ ვხედავ მე აქ თამარ მეფის ხატსაო"?—იკითხა მისმა მეუფებამ.

ნუ თუ ამ სიტყვების გამგონე ქართველობას სირცხვილით, როგორც იტყვიან, „კბილში ოფლი არ გამოდინდა?—ვსტირით და მოვსთქვამთ—დიდუბე წაგვართვესო; რატომ? ვისი ბრალია, რომ იერუსალიმში, სინასა და ათონის მთაზე ჩვენს სიწმიდეს ბერძნები დაეპატრონენ? ვისი ბრალია, რომ წმ. ნინოს საფლავს, შესანიშნავ ახტალას, ხუჯაბს, მამკოდის წმ. გიორგს, კობენს და სხვა მრავალ ისტორიულ ნაშთებს ჩვენში რუსები დაეპატრონენ?

ჩვენმა დაუდევრობამ, გულგრილობამ და დაკნინებამ ბევრი დაგვაკარგვინა და კიდევ დაგვაკარგვინებს. განა ვიღონეთ რამე, რომ დიდუბე არ დაგვკარგოდა? რა გააკეთეს კერძოდ ამ ტაძრის წინამძღვრებმა, რომელნიც ყურს გვიჭედავენ ერთმანეთის ლანძღვა-გინებით, თავიანთ საქმიანობაზე ბევრს ლაპარაკობენ,—ერთს მათგანს თავის მოღვაწეობა ტრაპეზის სახარებაზე წარწერითაც კი აღუნიშნავს,—ხოლო დიდუბის ეკლესია იმავე ქურქში დაუნარჩუნებიათ, რომელიც ჩააცვეს მას ამ ოციოდე წლის წინად. გარემოებათა მსვლელობას და ძალთა განწყობილებას გაუწიეს მათ ანგარიში თუ არა? რა გვმართებს დღეს?

ერთი გზა დიდუბის განსაცდელისაგან დახსნისა გვიჩვენა თვით ეგზარხოსმა: ეკლესიაშიც და წინამძღვრის ბინაზედაც მან მოითხოვა, რომ ეხლავე შეუდგენ ამ ეკლესიის შინაგან მოხატვას იმ სახით, როგორც შეეფერება მის ისტორიულ წარსულს და ეროვნულ მნიშვნელობას. დიდუბის ეკლესია მართლაც უნდა მოიხატოს ისე, რომ შიგ შესვლისას ჩვენ გადაგვეშალოს მთელი ჩვენი წარსული და თვალწინ წარმოგვიდგეს მრავალტანჯული საქართველო. როდესაც დაინახავენ უცხო ელემენტები, რომ „ზდეს ნე რუსიუ, ა გრუზიეიუ პახნეტ", თვითონ გავლენ გარე და გასცილდებიან გალავანს. 1906 წელს მათი ინტერესების ადგილობრივი წარმომადგენლები სინოდს უმტკიცებენ, რომ ქართველთა მართლმადიდებლობა და ეკლესიური გარეგნობა დიდად განსხვავდება ჩვენისაგან და ამის გამო ჩვენ ვერც ქართველ მღვდლებს დ ვერც ქართულ ეკლესიებს ვერ ვეგუებითო. მართლაც დიდუბის კედლებზე ჩვენ უნდა აღვნიშნოთ დ გამოვხატოთ ჩვენი მართლმადიდებლობა და მისი დამახასიათებელი თვისება,

მაგრამ ეს კიდევ არ კმარა: გარეგნული კონსტრუქციით და სტილითაც დიდუბე უნდა ქართული ხელოვნების გამომხატველი იყო.

ერთი სიტყვით, დიდუბის დღევანდელი ეკლესია უნდა დაიქცეს და მის ადგილას აშენდეს ძეგლი, როგორიც მთელს საქართველოს შეშვენის. ასეთი საქმე კი მთელმა საქართველომ უნდა იკისროს; ეს არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საქმეა, ვიდრე ქართულ თეატრის და მუზეუმის აშენება. დიდუბე, სადაც, ეგზარხოსის სიტყვით, „თამარ მეფეს განუცდია უშესანიშნავესი წამები ამა ქვე-

ყნიურ ცხოვრებისა“, დიდუბე, სადაც განისვენებენ ნ. ბარათაშვილის, არ. ჯორჯაძის, ა. ხახანაშვილის, ზ. ღოღობერიძის, იაკობ გოგებაშვილის, დ. ბაქრაძის და სხვა, ჩვენი გულისა ꝏ სულის მესაიდუმლეთა ძვლები, სადაც უნდა მოეწყოს „გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი“ და „სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავდადებულ გმირთა მარადმოსაგონებელი ძეგლი“, ჩვენი დიდუბე ღირსია იმისა, რომ ქართველობამ აქ აავოს დიდებული ტაძარი, გამომსახველი მისი რელიგიურ-ფილოსოფიურ, ესტეტიურ-მისტიურ და ისტორიულ-ეროვნულ იდეიისა; ეს ტაძარი უნდა იქნეს სიმბოლო საქართველოსი. ამ საქმის იდეიური ინიციატივა უნდა „კულტურულ-საზოგადოებათა კავშირმა“ იკისროს, ხოლო მატერიალური —სათავად-აზნაურო ბანკმა და სვა ქართულ დაწესებულებათ, თუმცა ყოველი, რომელსაც თავის ქართველობის არა რცხვენია, ვალდებულია თავისი წვლილი გამოიღოს ამ დიად საქმის განსახორციელებლად.

ქართველი.

## ნიკო ლომაურის ხსოვნას

დღეს შესრულდა ერთი წელიწადი, რაც დადუმდა ნიკო ლომაურის ტკბილი ენა. და ამ წლის თავზედ მინდა გავუზიარო და გავაცნო განსვენებულის პატივისმცემელთ ორი მომენტი მისი გულის ძგერისა, რომელიც ყოველთვის შეპყრობილი იყო სამშობლოსადმი და მისი (სამშობლოს) გულწრფელი მოამაგეთადმი სიყვარულით.

ძლიერ აწუხებდა და აშფოთებდა ნიკო ლომაურს ილიასა და ვანო მაჩაბლის შორის, ჩამოვარდნილი უთანხმოება. ეს უთანხმოება მათ შორის როგორც ამტკიცებდა ყოველთვის განსვენებული, დაჰბადეს და ხელი შეუწყეს მის უფრო მეტად გაღრმავებას ცბიერმა, გაიძვერა ხალხმა, რომელნიც ორსავე მხარეს თვის მოკეთეებად მიაჩნდათ. ხოლო, როცა განხეთქილებამ მიაღწია უკიდურესობამდე, მაშინ ნიკო შიშობდა კიდეც: „იმ შეჩვენებულებმა (გულისხმობდა გაიძვერა ხალხს) სისხლი კი არ დაატრიალონო“. უფრო შიშობდა, რასაკვირველია, ილიაზედ.

ერთ დღეს, როცა თბილისის სათავად-აზნაურო ბანკში არჩევნები სწარმოებდა, ქუჩაში, ქალაქ გორში ამ სიტყვებით მიჰმართა ნიკოს მღ, დ. კ. „გაიგე, ნიკო, რა ჰქნეს? ნეტა რაზედ მოგვიკლეს ის ძვირფასი კაცი!“ ნიკოს ნაცრის ფერი დაედო სახეზედ და ხმა ველარ ამოიღო. „ზედ კანტორის კარებზედ მოუკლავთ საწყალი“ გააგრძელა მამა კ. მხოლოდ ახლა ამოიღო ნიკომ ხმა და ჰკითხა: „ვინა?“—ნიკოლოზ არხიმანდრიტიო, იყო პასუხი. „შე ოჯახქორო, ემაგრე იტყოდი წინათვე. მე ასე მეგონა—ილია მოუკლავთო“.

ამ ამბავმა ისე იმოქმედა ნიკოზედ, რომ ავად გახდა და ორი კვირა ქვეშაგებში იწვა.

საოსტატო სემინარიის (სადაც მსახურებდა ნიკო) წინანდელი დირექტორები ნიკოს, როგორც მათგან მოძულებული ქართული ენის მასწავლებელს, სისხლს უშრობდნენ თავისი უსამართლო მოპყრობით. ქართული ენისადმი მიმართული სიძულვილი თვით ნიკოზედაც გადმოიტანეს. მაშინ, როდესაც მოსამზადებელი კლასების მასწავლებელნიც კი მორიგეობდნენ სემინარიის შენობაში და ამისთვის იღებდნენ დამატებითი თვალსაჩინო ჯილდოს ფულად, ნიკო გამორიცხული იყო მასწავლებელთა წრიდგან, რათა ნივთიერადაც დასჯილი და დაჩაგრული ყოფილიყო იგი. მხოლოდ ნიკოს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება დირექტორმა მე-ევმა. მან შეჰნიშნა, თუ რა დიდი ზნეობრივი გავლენა ჰქონდა მოპოვებული ნიკოს მთლად სემინარიის მოწაფეებზედ განურჩევლად ეროვნებისა და მიიწვია იგი მორიგედ. არა ერთხელა და ორხელ უსარგებლნია დირექტორს ბ. ნიკოს შეგირდებზედ ზნეობრივი ზეგავლე სასწავლებლის შინაურული საქმეების კეთილად და მშვიდობიანად მოწყობა-დაბოლოებისათვის. ამისთვის დიდ პატივსა სცემდა ნიკოს დირექტორი მ. აგრეთვე პატივსა სცემდა მას სემინარიის ახლანდელი დირექტორიც.

ერთხელ გორს ეწვია ცნობილი ვოსტორგოვი, შეიარა საოსტატო სემინარიაშიც. დირექტორმა მ. საუზმეზედ მიიპატიჟა იგი და მიუწვია მას ნიკო ლომაურიც. საუზმის დროს ვოსტორგომა დაიწყო თურმე მეტის მეტი უშვერი სიტყვებით საქართველოზედ და ქართველებზედ ლაპარაკი. მან თავისებურად და მეტად ცინიკურად ახსნა თურმე მიზეზი იმისა, თუ რატომ ყ-დ წმ. ღვთისმშობელი თვით არ წამოვიდა თვის ხვედრ საქართველოში და თვის მაგიერად გამოგზავნა ანდრია პირველწოდებული ქრისტიანობის საქადაგებლად. მოიხსენია თურმე აგრეთვე ცუდი სიტყვებით წმ. ნინოც. ნიკო, რასაკვირველია, ისტორიული საბუთებით უმტკიცებდა თურმე ვოსტორგოვს უაზრობასა და უსაფუძვლობას მისი ნათქვამისას, მაგრამ ვოსტორგოვი არა სცხრებოდა და უფრო მომეტებულს დაცინვის კილოთი იმეორებდა თავისას—მიუხედავად იმისა, რომ თვით მასპინძელი მ. ემუდარებოდა, რომ თავი დაენებებინა ამისთანა უსიამოვნო ლაპარაკისათვის.

ნიკოს, რასაკვირველია, აღარ მოეცადნა საუზმის გათავებისათვის—ამდგარიყო და გამოსულიყო გარედ.

გაფითრებული სახით, მთელის ტანით მთრთოლარე და საშინლად აღელვებული მოვიდა შინ ნიკო—იმ დროს მე და განსვენებული ერთად ვცხოვრობდით. როცა შემატყობინა მიზეზი თვისი აღშფოთებული მდგომარეობისა, მე დავუწყე მას დამშვიდება, მაგრამ ადვილათა და მალე ვერ მოვახერხე მისი დამშვიდება. მხოლოდ მაშინ დამშვიდდა იგი ცოტათი, როცა ვოსტორგოვის ყოველი ნათქვამი გადასცა აწ განსვენებულს გენერალ-ადიუტანტს თავ. ი. გ. ამილახვარს და სთხოვა მას ღონისძიება მიეღო ვოსტორგოვის თავხედობის ასალაგმავად. ამ საქმეზედ მოახდინეს ჩუმი გამოძიება, თუმცა გამოძიებას თვალსაჩინო შედეგი ვოსტორგოვის ასალაგმავად არაფერი მოჰყოლია.

ყოველთვის ასე შესტკიოდა ნიკოს გული სამშობლოსათვის.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ჩემო ძვირფასო ნიკო!

დეკ. ნ. ნათიძე.

## ფონ-დერ-გოლც-ფაშა

6 აპრილს, სახადით გარდაიცვალა გოლც-ფაშა, გამოჩენილი სარდალი და ამასთანავე მწიგნობარი. ოსმალეთის ჯარი დღეს გასაჭირშია ჩავარდნილი. იგი სულიერად დაეცა და დიდ უწესრიგობას განიცდის, რაც ოსმალეთს მოლიპულ გზაზე აყენებს.

სწორედ ასეთ დროს ოსმალეთმა დაჰკარგა საჭირო კაცი.

გოლც-ფაშამ 1883 წ. პირველად ისახელა თავი, როდესაც ფრიდენაუში ბერლინის ახლოს, დაამთავრა თავისი წიგნი „შეიარაღებული ხალხი“. ამავე წელიწადს გამოვიდა ამ წიგნის მეოთხე გამოცემა, 1884 წ. მესამე. ამ წიგნის შემდეგ გოლც-ფაშას ბედმა გაუღიმა. 1883 წ. გოლც-ფაშა გაგზავნეს სტამბოლში ინსტრუქტორად და დაავალეს ოსმალთა შეიარაღებულ ჯარის გაწესრიგება. რაც მან ენერგიულად შეასრულა. ომის დაწყებამდე გოლც-ფაშამ დაანება თავი ოსმალეთს და მისი ადგილი გენ. ლიმან-ფონ-სანდერსს გადასცეს, მაგრამ როცა ოსმალთა მესამე არმია დამარცხდა, გოლც-ფაშა დააბრუნეს ოსმალეთში ჯარის გასაძლიერებლად. ეს იყო ოსმალთა ხელმძღვანელი და თითქმის ყველგან მონაწილეობას იღებდა.

1914 წ., ბელგეთის დაპყრობის შემდეგ, გოლც-ფაშა აქ გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს, მაგრამ მალე გადადგა, როგორც ლიბერალი სარდალი. გოლც-ფაშა ოსმალთა საქმეების ერთ საუკეთესო მცოდნეთ ითვლებოდა. თვით ვილჰელმი, რომელიც მას არ სწყალობდა, ოსმალთა საკითხში ანგარიშს უწევდა. გარდა „შეიარაღებულ ხალხისა“ იგი მრავალ წერილებსა სწერდა, რომლებიც გარდა ოსმალებისა და გერმანელებისა, იწერებოდა რუსულსა და ფრანგულს ჟურნალ-გაზეთებიც, მისი წერილები ითარგმნებოდა ყველა ევროპიულს ენაზე.

33 წლის წინად გოლც-ფაშა ამ ომის შესახებ შემდეგსა სწერდა: „დიდის მოუთმენლობით მოველით ახალ ომს. ყველა გრძნობს, რომ ეს ომი საშინელი და გამანადგურებელი იქმნება. მოხდება ბრძოლა ორი მოწინააღმდეგე ერისა და არა არმიათა ომი. ეს ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო იქმნება და მოპირდაპირე ერთა ინტელიგენტ ძალების მობილიზაცია მოხდება ერთი ერთმანეთის გასანადგურებლად. რამდენადაც ძლიერი იქმნება ჯარი, მით მეტი უბედურება მოჰყვება მას“.

სხვა ადგილას სწერს:

„კაბინეტური ბრძოლა გათავდა. ომის ბედს სწყვეტს არა რომელიმე ერის მოთავის სისუსტე, არამედ მებრძოლ ხალხის დასუსტება. ომი დღეს ეროვნულ საქმედ გარდიქცევა. ისიც კი, ვინც არ თანაუგრძნობს ომს, თავის მოვალეობად ჩასთვლის ბრძოლაში ჩაებას, რათა სამშობლოს ბედის გარდაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს. ამ გვარ საქციელს ყველა სასურველად ჩასთვლის“...

აი ამ აზრისა იყო გოლც-ფაშა რამდენიმე ათი წლის წინად, და განა მისი შეხედულება არა მართლდება? (ს. ს.)

## სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოდ

ქართველთა ცხოვრებას გამოღვიძება დაეტყო. როგორც კულტურული, ისე ეკონომიური ძალები ირაზმებიან და ცხოვრების ჰაპანს ეწევიან. ქართველთა ცხოვრებაში ერთი ფრიად მნიშვნელოვანი და სასიამოვნო კავშირი დაარსდა ამ რამოდენიმე თვის წინად და ნაყოფიც გამოიღო. მე მოგახსენებთ დასავ. საქ. სახალხო მასწავლებელთა კავშირზე და მათ ყოველკვირეულ სამეცნიერო და საპედაგოგო ჟურნალ „სკოლა და ოჯახი“-ს შესახებ, რომლის პირველი ნომერი უკვე გამოვიდა. ეს მოვლენა ჩვენმა გაზეთმა „საქართველომ“ 87 №-ში აღნიშნა.

დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა ხმა ბევრჯელ გვსმენია და იმედიც გვქონდა, რომ იგინი რამე პრაქტიკულ ნაბიჯსაც გადასდგამდნენ. აკი იმედიც არ გაგვიცრუვდა. მაშინ როდესაც დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა მუშაობას ეროვნულ საქმიანობაში ვხედავთ, რას აკეთებენ აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლ-კახეთის, სახალხო მასწავლებელნი?

ნუ თუ დღესაც ბურანს თავს არ დაახწევენ და თავიანთ მოძმეთა სამაგალითო საქმეს არ მიჰბაძავენ? დღემდე არა ერთ სოფლის მასწავლებლისაგან მსმენია, რომ მასწავლებელთა კავშირს დირექცია გაუმკლავდება და ადგილს დავკარგავთო. დღეს იმედია ქართლ-კახეთის მასწავლებლები დაინახავენ, რომ შემჭუთავ პირობებშიაც შეიძლება მუშაობა, თუ სოფლის სკოლის ჭირისუფალნი გამოჩნდებიან. ამ რამოდენიმე დღის წინად შუაგულ ქართლის სოფელში ვიყავი, სადაც რამდენიმე მასწავლებელთან მქონდა საუბარი.

საუბედუროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ აქაური მასწავლებელნი მოკლებულნი არიან ყოველივე ორგანიზაციულ მუშაობის უნარს. აქ ჯერ კიდევ ბნელეთი გამეფებულა და მასწავლებელთა შორის შურისა და მტრობის მეტი არა მოიპოვება რა. ეს კიდევ არაფერი. მაგ. გორის მაზრამ ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში სამი სოფლის სამინისტრო სასწავლებელთა ინსპექტორი გამოიცვალა. ყველა ამათგანს თავისებური ჟინი და მიდრეკილება ჰქონდა. მერე მასწავლებლები როგორ ჰხვდებოდნენ თავიანთ უფროსთა ჟინიანობას? ძალიან კარგათ.

ყველა ინსპექტორს კარგათ ჰხვდებოდნენ და „მორჩილებას უცხადებდნენ“. მასწავლებელთა პრინციპიალური შეხედულება და ცოტათ თუ ბევრად თავისუფალი სიტყვა აღარსად ისმის. სოფლის მასწავლებელი ცდილობს რომ უფროსს ასიამოვნოს, თუნდაც მისი საქციელი ადგილობრივ სკოლის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს.

ამის დასამტკიცებლად რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ. როგორც მოგეხსენებათ სოფლის სკოლებში დღევანდელ კანონის ძალით, მასწავლებელთ ნება ეძლევათ პირველ წელიწადს ბავშვებთან განსაკუთრებით ქართულ ენაზე იმეცადინონ. ასრულებენ ამ გვარ კანონს? არა. ესენი არღვევენ ამ კანონს და ენკენისთვიდან თუ არა, იანვრიდან მაინც რუსულს აწყებინებენ უსუსურ ბავშვს. ამ შემთხვევაში სოფლის მასწავლებელი კანონის დარღვევისათვის მადლობას ღებულობს. შეიძლება გვითხრან: კანონით ნება გვეძლევა პირველ წელიწადსავე რუსული დავაწყებინოთ ბავშვებს, მაგრამ ხომ ნებაც ეძლევათ მხოლოდ ქართულად სწავლებისა?

გორის მაზრის ერთ-ერთ სოფლის სკოლაში შეველ. მასწავლებელი პირველ განყოფილების მოწაფეს რუსულს ჰკითხავდა. როცა შევეკითხე: რატომ ამ დროსაც ქართულ ენას არ ანდომებს, მიპასუხა: „ქართული იციან და რუსულში ვავარჯიშებ“ო. გორის მაზრაში, ცხინვალის მიდამოებში, მასწავლებელთა შორის სხვა წესიც არის. ყოველ შაბათს რამდენიმე მასწავლებელი შეიკრიბება და გაკვეთილების მოსასმენათ ერთ-ერთ სოფელში მიდის. აქ მასწავლებლები აფასებენ მასწავლებელთა შრომას და დადგენილებას დირექციაში გზავნიან. ერთ სოფლის მასწავლებლის აზრით ამ გვარ სიარული მაზნორობის ხასიათი ეძლევა, ე. ი. დირექციას უკენჭავენ, თუ ვინ რას აკეთებს და რასაკვირველია დირექციის ყურადღება რომ დაიმსახურონ, ცდილობენ, პირველ განყოფილებაშივე რუსულ ენაში „ვარჯიშობას“.

ამავე ადგილებში ზოგიერთ სკოლებში ი. გოგებაშვილის მეთოდით სწავლებას თავი დაანებეს და ბ. ოდოლევის მეთოდს მიჰმართეს. მერე რად? იმისთვის რომ ბ-ნი ოდოლევი მათი დირექტორია და რევიზიისა ეშინიათ.

ამგვარი პირობები დასავლეთ საქართველოშიც არის თუ არა არ ვიცით, ქართლ-კახელთა მასწავლებელთა შორის კი მრავალი მოიპოვება. რა არის მიზეზი ამგვარ პირობებისა? ის რომ აქაური მასწავლებლები სულიერად დაშორებულნი არიან ერთიერთმანეთიდან და პასუხის მგებლობას მხოლოდ დირექციისადმი ჰხედავენ. აქაური მასწავლებლები არ იცნობენ ერთმანეთს, თითქოს მათი ინტერესები არ იყოს საერთო. სად არის ხსნა? ხსნა მხოლოდ მასწავლებელთა შეკავშირებაში და ორგანიზაციულ მუშაობაშია. იმედია, ქართლ-კახეთის მასწავლებლები მეტს უნარს და გამბედაობას გამოიჩენენ, პირად ცხოვრების ფარგლებს მოიშორებენ, მიჰბაძავენ დას. საქ. სახალხო მასწავლებელთ და დაარსებენ ქართლ-კახელთა სახალხო მასწავლებელთა კავშირს, იმ პირობებში მაინც, როგორშიც იმერეთის მასწავლებლები იმყოფებიან.

ამგვარი კავშირის დაარსება ადვილია თუ ვინმე მეთაური მოიძებნება და შრომას გასწევს.

მეტი უნარი და გამრჯელობა!

ჩ. კაპანაძე.

## ქარ. კულტ. მოყვარულთა საზოგადოება

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა ამ ზაფხულს რამდენიმე ექსკურსიის მოწყობა. პირველი ექსკურსია გამოცდილ ხელმძღვანელთა მეთაურობით გაემგზავრება 23 აპრილს მცხეთას და იქაურ სიძველეთ დაათვალიერებს.

ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე 11—1 საათამდე საზოგადოების კანცელარიაში (სასამართლოს ქუჩა, № 26, ბინა გ. ჟორდანიასი). იქვე შეიძლება დაწვრილებით ცნობების მიღება.

—

ამ საზოგადოების სასარგებლოდ მაისის პირველ რიცხვებში გაიმართება დიდი სეირნობა მრავალფეროვანის პროგრამით. სეირნობის შემოსავალი უმთავრესად მოჰხმარდება ამ ზაფხულს განზრახულ ექსკურსიების გამართვას.

—

ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ამშენებელი კომისია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ამას წინად გამოქვეყნებულ შემომწირველთა სიაში გამოტოვებულ იქმნა ერთი პირველი შემომწირველთაგანი—ვასილ კირვალიძე, რომელმაც შემოსწირა ხსენებულ მიზანს ერთი თუმანი.

კომისიამ მიიღო 25 მანეთი ქნ. ანნა ნიკ. ბეგთაბეგიშვილისაგან და 25 მან. თ-დ. ილ. დიმ. ბეგთაბეგიშვილისაგან.

—

გამგეობის კრება გაიმართება დღეს, ნაშუადღევს 12 ნახ. საათზე. სხვათა შორის, გასარჩევია ამ ზაფხულს ექსკურსიების გამართვის საკითხი და სხვა მორიგი საქმეები.

## დაბა-სოფლები

ქ. გორი. 12 აპრილს ტყვიავის ორკლასიან სკოლის მასწავლებელმა ქეთო ტატიშვილმა ქ. გორში ჩამოიყვანა ოცი მოწაფე. ამ დღეს აჩვენეს მოწაფეებს გორის სხვა და სხვა დაწესებულებანი და შემდეგ აიყვანეს გორის ციხეზედ, აქ მათ დაათვალიერეს ყოველივე კუთხე ციხისა, დიდის ყურადღებით უსმენდნენ მასწავლებლის ახსნას. სხვათა შორის ბავშვებს მოკლეთ აუხსნა ისტორია გორის ციხისა ნიკო კაიშაურმა. საღამოს 4 საათზე ბავშვები ციხიდან გორის საქალაქო ბაღში ჩამოიყვანეს აქაც მასწავლებელმა ქეთო ტატიშვილმა აუხსნა მისი დაარსება და აგრეთვე ის თუ რას ემსახურება ბაღი. შემდეგ ბავშვები პროჟექტორში წაიყვანეს. ბავშვებისთვის გორის საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებამ 20 მან. გადასდო. ბინა მათ ექიმ კობერიძემ თავის საავათმყოფოში დაუთმო. მეორე დღეს ქეთო ტატიშვილმა ბავშვები გორიჯვარში წაიყვანა. გორიდან რამდენიმე ინტელიგენტიც გაჰყვა. აქაც ბავშვებმა დაათვალიერეს ყოველივე კუთხე ტაძრისა. სიცოცხლით სავსე ბავშვები გულმოდგინეთ ათვალიერებდნენ ყველაფერს; ცოცხლათ უპასუხებდნენ ყველას, ვინც რას ჰკითხავდა და ყველაფერში ეტყობოდათ რომ მათ მასწავლებელს მიეღო ყოველივე ღონე, რომ ჩაეგონებინა მათთვის სამშობლოს, მისი გამოჩენილი მეფეებისა და აგრეთვე გამოჩენილი მოღვაწეობის სიყვარული. მადლობის ღირსია ქ. ქეთო ტატიშვილი, როგორც სოფლის გლეხის ბავშვების ამგვარი აღზრდისათვის, აგრეთვე ასეთი სასარგებლო ექსკურსიის მოწყობისათვის. იმედია სხვა მასწავლებლები მიჰბაძავენ მას.

გ. კოშორიძე.

## თეატრი

**ვ. შექსპირის გარდაცვალების 300 წლის თავი და „მეფე ლირი“ ქართულ სცენაზე.**

წელს მთელი კულტურული ქვეყანა აღნიშნავს ორი დიდებული და გენიოსი მწერლის მ. სერვანტესის და ვ. შექსპირის გადაცვალების 300 წლის თავს.

ჩვენს მსახიობებსაც განუზრახავთ ამ დღის შესაფერისად აღნიშვნა და ხვალ ორშაბათს სდგამენ შექსპირის ერთს საუკეთესო ტრაღედიას „მეფე ლირს“, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ საუკეთესო მსახიობნი ქართულის დასისა: ქ-ნნი დავითაშვილისა, ქიქოძე, ბეჟანიშვილი; ბ-ნნი იმედაშვილი, იმნაძე, ზარდალიშვილი, გამყრელიძე, გუნია, კორიშელი და სხვანი. იაფფასიანი წარმოდგენა გაიმართება სახალხო სახლში; წარმოდგენის რეჟისორი კ. ანდრონი წაიკითხავს პატარა რეფერატს ვ. შექსპირის შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

**ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.**

(ტფილისის საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | 8.53 | სღ. |
| „ | საფ. „ | 3 | 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | 10.20 | სღ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | 12.8 | დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | № | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | 9.30 | სღ. |
| „ | სამგ. „ | 10 | 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | 7.41 | სღ. |
| „ | სამგ. „ | 7 | 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 8.8 | დილ. |

**კახეთის რკინის გზის მიმოსვლა**

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან | 8 ს. 58 წ. | დილ. | |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 | „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 | „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ 42 | „ | „ |
| იორიდან | 11 „ 35 | „ | „ |
| საგარეჯოდან | 12 „ 17 | „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ 15 | დღის | |
| მელაანიდან | 2 „ 37 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ 08 | „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ 58 | „ | „ |
| თელავში მიდის | 5 „ 35 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ 18 | „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ 50 | „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 | „ | „ |

**თელავიდან**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. 58 წ. | დილ. | |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ 45 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 „ 46 | „ | „ |
| მელაანიდან | 12 „ 02 | „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ 13 | „ | დღის |
| საგარეჯოდან | 2 „ 15 | „ | „ |
| იორიდან | 2 „ 53 | „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ 40 | „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ 31 | „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 | „ | „ |
| თბილისში მიდის | 5 „ 01 | „ | „ |
| წნორის-წყლიდან | 9 ს. 16 წ. | დილ. | |
| კარდანახიდან | 9 „ 46 | „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ 16 | „ | „ |


**ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა ꝏ წიგ. მაღაზია**

**„განათლება“-ში**

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში ꝏ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“




მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

**სუნი და გემოც საამური აქვს**

წლ.

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. მეზველოვები**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

**განყოფილება ავლაბარში**

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ძით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამზევის შესახვევი № 4.